

გაუგზავნელი წერილები როდოსიდან

მანანა დუმბაძე

მარტი 2011

ყოველთვის მიხდოდა დამეწერა შთაბეჭდილებების წიგნი როდოსზე, მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა. დრო არ მექონდა თუ არ მეწერებოდა არ ვიცი. ორი მოზრდილი ესე მივუძღვენი 1997-ში „სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს“ (TSWTC) შექმნას და „მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრის“ დაარსებას. მას მერე როდოსის შესახებ აღარაფერი დამიწერია მიუხედავად იმისა, რომ დღემდე წელიწადში ორჯერ მაინც დავდივარ იქ სამუშაოდ. ათასჯერ მაინც დავაპირე, ახლა დავჯდები და დავწერთქო, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ეს დალოცვილი კუნძული სამშობლოს მაგვარ ადგილად გადამეცვია, სამშობლოზე შთაბეჭდილებების წერა კი აბსურდი თუ არა, უზნეობა მაინც მგონია.

„როდოსი გახდა სამშობლო და ვეღარ ვწერ როდოსზე“ – ასეთია პირველი ჩანაწერი, რომელიც ამ თერთმეტი წლის თავზე - 2011 წლის 24 მარტს „სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს“ ბლანკიან ფურცელზე გავაკეთე.

სამაგიეროდ, ვიწყებ უმისამართო წერილების წერას როდოსიდან და არავის ვუგზავნი, ვაგროვებ ორგანოფილებიან წითელ საქალაქოში, რომელსაც ყდაზე ბერძნულად და ინგლისურად ჩვენი ცენტრის ლოგო ადევს და აწერია Waves of Three Seas - International Writers & Translators Center of Rhodes („სამი ზღვის ტალღები - მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრი“).

წელს გამოჩენილი როდოსელი მწერლის ნიკოს კაზდაგლისის პრიზს ვუყრით საფუძველს და მე სამუშაო ჯგუფის წევრად ვარ მივლინებული როდოსში. მარტის ბოლოა, თან ვმუშაობ, თან ვისვენებ, თან, როგორც კი თავისუფალი წამი გამიჩნდება, ჩანაწერებს ვაკეთებ.

წერის ჟინი ცენტრში ჩემს მეზობლად მცხოვრები ამერიკელი და გერმანელი მწერალი ქალებიდან გადმომედო. ისინი დილას სურსათზე ნადირობას რომ მორჩებიან, ჩაიკეტებიან თავიანთ ოთახებში და წერენ საღამომდე. მერე სამივე ერთად მივდივართ

რომელიმე ბერძნულ რესტორანში სავახშმოდ. იქიდან მობრუნებულები, ისინი ისევ წერენ.

მე, მართალია სულ სხვა საქმეზე ვარ ჩამოსული, მაგრამ, ჩემდაუნებურად, შეუმჩნევლად და ნაბი-ნაბიჯ ისე ჩავები მათ ფერხულში, რომ, როცა შრომის ნაყოფი ერთმანეთს გავუზიარეთ, აღმოჩნდა, რომ დაწერილი ფურცლების რაოდენობით, ყველაზე წინ მე წავსულვარ. ხარისხის რა მოგახსენოთ, ჩემთან შედარებით ისინი ცნობილი, პროფესიონალი მწერლები არიან. როდოსული ჩანახატებიც მათთან გაცნობით მინდა დავიწყო.

წერილი 1

ანია ტუკერმანი გერმანელი მწერალია, თორმეტი წიგნის ავტორი.

- ახლა მეტი დრო მაქვს, ჩემი შვილი გაიზარდა, ცალკე ცხოვრობს და თავად უვლის საკუთარ თავს, - მეუბნება ანია. ანია ქმარს არის გაშორებული და უკვე თხუთმეტი წელია მეგობარი მამაკაცთან ერთად ცხოვრობს.

მე, როგორც ტიპურ ქართველ დედას დამაინტერესა, რამდენი წლისაა ის მისი ბავშვი, რომელიც ცალკე ცხოვრობს და თავსაც თავად უვლის? ოცდაერთის ყოფილა. ამის გამგონემ დიდმნიშვნელოვნად დავუქნიე თავი ანიას, აბა რა, ეგრეც უნდამეთქი, კიდეც დაგიგვიანია ცოტაცთქო. გულში კი ხომ ხვდებით რას გავიფიქრებდი: გაუგდია ბავშვი სახლიდან და ეგაა! თუმცა ასე ჩემი თაობის მშობლები თუ გაიფიქრებენ, თორემ რა ხანია ჩვენთანაც იმატა დამოუკიდებლობას მოწყურებულ სრულწლოვან „ბავშვთა“ ოჯახიდან გამოყოფის ტენდენციამ. ტენდენცია არის, მაგრამ ქართველი „ბავშვების“ დედის კალთიდან მოწყვეტა ჯერ-ჯერობით ისევ მძიმე და მტკივნეული პროცესია.

ჯესიკა ლოტი ამერიკელი მწერალია, 36 წლის, ცხოვრობს ნიუ იორკში, ბრუკლინში, გაუთხოვარია. ახლად გაახსენდა, რომ ბავშვი უნდა და ამისთვის ქმარია საჭირო. ტრადიციული ოჯახიდანაა. დედამისი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირიდან გაქცეული უკრაინელების შვილია, თუმცა ჯესიკას არ ახსოვს, უფრო სწორად, არ იცის დედამისის უკრაინული გვარი. გაუკვირდა კიდეც, როცა ვკითხე და ტვინის ჭყლეტა დაიწყო, ეგებ ვიცი და არ მახსოვსო. მერე გაახსენდა, რომ არასდროს უკითხავს დედამისისთვის ქალიშვილობის გვარი და არც იმას უხსენებია ოდესმე. არადა, როგორც მისი ნაუბრიდან მივხვდი, ოჯახში უმეტესად უკრაინულ სამზარეულოს ცნობენ: ბორში, ლორი („სალა“), „ფრიკადელები“, ვარენიკები არაჟნით, ბოსტნეულის „შუბა“ და სხვა.

თავად ჯესიკა ტიპური ამერიკელი ქალია. გულგახსნილი, კონტაქტური, მრავალმხრივ განათლებული, სწავლობდა ამერიკის რამდენიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში, ახლა კი ერთ-ერთში თავად ასწავლის მხატვრული წერის ხელოვნებას და ინგლისურენოვან

ლიტერატურას. ჯესიკასთან ადვილია ურთიერთობა, მასთან ჩქარა გადოს დრო, მხიარულია, ინტელექტუალური, სავსე იუმორითა და სიცოცხლის სიყვარულით. გიჟდება ისე უნდა აფრიკაში მოგზაურობა.

_ ყველა ჩემი სერიოზული სასიყვარულო რომანი კატასტროფით დამთავრდა, რასაც თან დიდი სასოწარკვეთა და იმედგაცრუება მოსდევდა. საუკეთესო ცხოვრებისეული გამოცდილება და მხატვრული მასალა დამიგროვდა. ამიტომ აღარ ვნანობ, პირიქით ყველა ჩემი იმედგაცრუების მადლობელი ვარ, მათ დიდი სამსახური გაუწიეს ჩემს რომანებს, _ იცინის.

_ ჰო, ზოგი ჭირი მარგებელია, _ ვეთხმებით მე და ანია.

იუმორი არც ანიას აკლია, მეტიც, მისი იუმორი უფრო ევროპულად დახვეწილია, მაგრამ იშვიათი. ამ ბოლო დროს კაცობრიობის მიმართ გერმანული ნაციზმის დანაშაულზე ფიქრს აუტანია და მოგეხსენებათ, თემიდან გამომდინარე, სახუმაროდ სულაც არა აქვს საქმე. რას წარმოვიდგენდი, თუ 21-ე საუკუნეში, როდოსში - ღმერთების ამ საბუდარში, მზისა და სიცოცხლის სავანეში, ნიკოს კაზდაგლისის პრიზის დაფუძნების საღვთისმშობლის ცერემონიაზე სამუშაოდ ჩამოსული ქართველი ფილოლოგის გასაანალიზებელი გახდებოდა გერმანელ ნაცისტთა მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული? არა, ამდენს ნამდვილად ვერ ვიფაფანტაზიორებდი!

ანიამ დილიდან ორი წერილი მიიღო. სასადალოში ვსხედვართ, ხელში ატრიალებს ამ წერილებს და უცებ მეკითხება

_ როდოსის მსგავსი ცენტრი თუ გაქვთ საქართველოში, მწერალს ჩამოსვლა და მუშაობა რომ მოუხდეს?

_ არა ასეთი ცენტრი არ არის, მაგრამ უცხოელი მწერლისთვის საქართველოში ჩამოსვლის და ცხოვრების საშუალება ნამდვილად არსებობს. თუ ვინმეს მართლა აინტერესებს, შემოძლია ამაზე ვიფიქრო და გზები გამოვნახო, _ ვუპასუხე მე.

ანიამ მითხრა, რომ ამ წერილების ავტორი ერთი გერმანელი პოეტია, ძალიან ნიჭიერი და ერთ დროს ძალიან პოპულარული.

_ ახლა ცოტა მიივიწყეს, დრო და დრო აიჩემებს ხოლმე რომელიმე ქვეყანას და იწყებს მის საფუძვლიან შესწავლას. ახლა საქართველო აქვს ამოჩემებული. უამრავი მასალა აქვს შეგროვილი, უცხოეთში გამოცემული მთელი ქართული ლიტერატურა მოგროვებული და ახლა ისდა დარჩენია, რომ ქართულ მიწაზე დადგას ფეხი. დიდი ხანია ამაზე ოცნებობს, საქართველოზე და ქართველებზე ცოცხალი შთაბეჭდილებების დაწერა უნდა... - მეუბნება ანია.

– მერე რა უდგას ამა წინ? – გავიკვირვე მე, ასეთი კაცის მოპატიჟებაზე ვინ იტყვის უარს!
– ვაწყვეტინებ ანიას, მაგრამ ჯერ სად ხარ, მთავარი თურმე წინ არის...

– მაგრამ მას არა აქვს ტელეფონი და არც არსდროს ჰქონია, კომპიუტერზე და ინტერნეტზე ლაპარაკიც ზედმეტია, კავშირის ერთადერთი საშუალება საფოსტო წერილებია. წერილებს წერს მსოფლიოს ყველა კუთხეში ახლობელ, შორეულ და სულ უცნობ ადამიანებს. წერს ძველ, ჯაბახანა საბეჭდი მანქანით და აგზავნის, აგზავნის გაუთავებლად (ამის მოწმე მე თვითონ ვარ, რაც ჩამოვედი, ანია მისგან ყოველ დღე ორ-ორ წერილს იღებს)...

– უყვარხარ! – ისევ ვაწყვეტინებ ანიას...

– შენი მისამართი რომ მივცე, შენც იმდენივეს გამოგიგზავნის, – მაშინებს, რა იცის, რომ ქართული ფოსტა ძალიან ჩამორჩება სისწრაფით გერმანუსა და ბერძნულს და საქართველოში წერილის ჩამოსვლას სულ ცოტა 20 დღე მაინც სჭირდება – წარმოიდგინე, ჩამოვედი როდოსში და ჩემი ოთახის კარი რომ გავაღე, იატაკზე უკვე ერთი წერილი ეგდო, მეცხრამეტე საუკუნეში რომ ხდებოდა ისე, კარის ქვედა ღრიჭოდან შემოაცურეს. არაჩვეულებრივი შეგრძნებაა.

– ალბათ, – ვეუბნები მე და ვფიქრობ, კი, თუ ეს წერილები შეყვარებულისგანაა და არა ვიღაც გრაფომანისგან, რომლისთვისაც სულერთია ვის მისწერს, ოღონდ მისწეროს. არადა, თურმე ერთი ოცდაათი წლის წინ ამ კაცის ხელნაწერებს მთელი გერმანია გულში იხუტებდა.

– პოპულარობას დიდი პაუზა მოჰყვა. ვინაიდან გერმანიაში პოეზიით პურს ვერ შეჭამ, თან პატრონიც თუ არა გყავს (იქაც ჩენსავით ყოფილა!) პარალელურად სხვა საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი. ჰოდა, მანაც მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა შავ მუშად. ფოლადის ზედაპირს აპრიალებდა. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრს მუშაობდა და ცოტას წერდა. მერე კი ეს ჰობი გაუჩნდა -- სხვადასხვა ქვეყნებზე წერა. მართალია ვერც ამ საქმით შოულობს ფულს, მაგრამ ძალიან გატაცებულია და ფული არ ანადვლებს. ახლა, როგორც გითხარი, საქართველოზე ოცნებობს და იქ ჩასვლის გზებს ეძებს.

ერთი გაფიქრება კი ვიფიქრე, სახლში ხომ არ წავიყვანო მეთქი, ასე ერთხელ უკვე ჩამოვიყვანე ამერიკელი კრის სტედი მისისიპის შტატის ქალაქ ოქსფორდიდან, მაგრამ კრისი დურგალი იყო, უბრალო, უპრეტენზიო. ასეთი კაცის სახლში ყოლა კი, ცოტა სარისკო საქმედ მომეჩვენა: რა იცი, რა შეიძლება მოეპრიანოს და რას გადაეყაროს ამ ჩვენს მოულოდნელობებით აღსავსე მოწაზე. მოკლედ, მე ამ კაცის მომვლელად ნამდვილად არ გამოვდგები. მაგრამ ამ ჩანაწერების მკითხველთ, თუ ვინმეს მისი მოპატიჟების სურვილი გაგიჩნდათ, პრობლემა არ არის, მივცემ თქვენს მისამართს და

გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენი საფოსტო ყუთი (თუ ასეთი რამ გაგაჩნიათ) მუდამ გერმანიიდან გამოგზავნილი წერილებით იქნება სავსე.

ახლა ხან ანიასგან ელექტრონული გზავნილი მივიღე:

ჩემო მანანა,

თავდება ჩემი მივლინება როდოსში, იმედია კარგად ხარ, ჯანმრთელად და კარგ ხასიათზე, პოეტი, რომელიც საქართველოს ბუნებასა და პოეზიაზე წერს (როდოსში რომ გიყვებოდი) მოკითხვას გითვლის და ვაჟა ფშაველა ახსენდება (ასე მწერს). ახლა ხან სამხრეთ გერმანიაში ყოფილა, ქალაქში, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე ცხოვრობდა შვეიცარიაში გადასვლამდე.

როდოსში ამინდი კვლავ ცვალებადია, წვიმს და სახლი სავსეა უჩინარი ადამიანებით.

შენი ანია.

15 აპრილი, 2011, 1:47

P.S.

ვაკის „ლიტ-კაფეში“ გიო მგელაძეს ვესაუბრები. როცა არ უნდა შეხვიდე, იქა ზის და ისე უხდება იქაურობას, ვეღარც კი წარმომიდგენია მის გარეშე რა უნდა აკეთოს იქ ადამიანი. ერთ დამწყებ მწერალზე ვლაპარაკობთ, რომელზეც ორივეს გული შეგვტკივა.

_ მართალი გითხრა, მიკვირს, ამ ციფრული ტექნიკის ხანაში ექვსასგვერდიანი რომანი რამ დააწერინა ... ვინაა მაგის წამკითხავი?!

ეჰ, ჩემო გიო, შენ იმ გერმანელი პოეტის არსებობაც კი არ იცი, დღეში რომ ექვსასზე მეტ წერილს წერს და საერთოდ არ სცნობს ციფრულ ტექნიკას. ცხოვრობს ასე დინჯად და აუჩქარებლად, წერს ზოგადსაკაცობრიო წერილებს კონკრეტულ ადამიანებს, თეთრ კონვერტებში დებს, ზედ საფოსტო მარკას აკრავს და აგზავნის დედამიწის ყველაზე მიუწვდომელ ადგილებში, სადაც ჯერ არც ციფრულ და არც მექანიკურ ტექნიკას არ ჩაუღწევია. ახლა, ანიას წყალობით, მეც ველოდები მისგან ბარათებს, თუ აპრილში გამოგზავნა, იმედია სექტემბრამდე მივიღებ.

წერილი 2

როდოსში ვარ და მწერალ ბურჟულაძის სახელს ვერ ვიხსენებ. ეს ის ბურჟულაძეა, „ჯაყოს ხიზნების“ რიმიეში თეიმურაზ ციხისთავი რომ ითამაშა და ძალიან რომ ამსგავსებენ ჯავახიშვილს.

როდოსში წამოსვლის წინ, ტელევიზორით ვუყურე, „ახალგაზრდა“ ქართველმა მწერლებმა რაღაც ბიენალეს მაგვარი მოაწყვეს ქუთაისში. დარბაზს ისე მოუწყენია, რომ ეს ბურჟულადე იძულებული გამხდარა დამსწრეთა გამოსაფხილზებლად ერთი პატარა სკანდალი აეგორებინა, თუმცა ეს პატარა სკანდალი ისეთი გამოუვიდა, რომ თავად სკანდალების მოყვარული ჩვენი პრეზიდენტიც კი აღაშფოთა. კერძოდ, ჯერ იყო და დარბაზში მსხდომ და მდგომ ქუთაისელებს ყველას უკლებლივ მასაჟის გაკეთება შესთავაზა და ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, მსურველების შესაგულიანებლად, ერთი ქუთაისური ფრთიანი ფრაზაც ისროლა -- “ქურდებს სალამი, ბოზებს სიკვდილი!” ესა სთქვა და ნახევარი დარბაზი ფეხზე წამოდგა. კიდევ კარგი, ამ ხალხმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვება დაიწყო, თორემ ამდენ მასაჟს ვინ გააკეთებდა, ბურჟულადე? არა მგონია შესძლებოდა. გახარებულმა დასძინა: ისეთი რეაქცია იყო, როგორსაც ველოდი, ანუ, ქურდები დავრჩით და ბოზები წავიდნენო.

მოკლედ, ამის გამგონემ ვიღაცამ გულში გაიხარა, ვიღაცამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და და მათ შორის საქართველოს პრეზიდენტმაც, რომელიც განსაკუთრებით იმაზე აღშფოთდა, რომ თვითნეტარებით გატაცებულმა ზოგიერთმა ხელოვანმა ნაამაგარი არ დაუფასა, გვერდზე გახედვა და განახლებული ქუთაისის აღიარება არ მოინდომა. ბურჟულადესა და „მისნაირებს“ სულ ჩამორჩენილები და უმადურები უმახა. არადა ბურჟულადეს თავის დროზე ნათქვამი ჰქონია „მე სააკაშვილს ხმაც მივეცი და ტრაკიცო“. ჰოდა, ვინ გამოდის ახლა უმადური -- ხელოვანი თუ პრეზიდენტი? რა უნდა ექნა მწერალს, აიღო და ტელევიზიით განაცხადა მე ვიხუმრე, უმცირესობამ ვერ გაიგო, ხოლო პრეზიდენტმა გააკეთა ის, რაც ნამდვილ დემოკრატ პრეზიდენტს უნდა გაეკეთებინა -- უმცირესობა დაიცვაო.

მოკლედ ვინ ქურდი და ვინ ბოზი ამას შთამომავლობა მოუვლის. მე თუ მკითხავთ, სულ ტყუილად ნერვიულობენ მწერლები, დაბერდება ეს ბურჟულადეც და ახალგაზრდები ზუსტად ასე შეუტევენ, ოღონდ ვერ გეტყვით იმ დროს სიტყვა „ბოზის“ სინონიმი რა იქნება.

მაიც რა არის სამშობლო! საიდან დავიწყე -- როდოსი მეთქი, გერმანელი მწერალი ქალი, ამერიკელი, ზედ ქართული კულტურის მოტრფიალე გერმანელი პოეტიც მივაყოლე და ბოლოს მაინც, ამ ამღვრეულმა გონებამ „ლიტ-კაფეს“ გავლით სამაისო ქუთაისში მომადენინა ზღართანი, სადაც ჩვენი რეფორმირებული ძალოვანი სტრუქტურების წყალობით წამლად ერთი ქურდიც აღარ დარჩა. წალეკა ქვეყანა ბოზობამ!

წელი 3

სანდროც ქართველი მწერალია. მწერალი რომ გახდა ამის შესახებ ახლახან შევიტყვე, როცა საზოგადოებრივი ტელევიზიის ერთ-ერთ ახალგაზრდულ-შემეცნებით

პროგრამაში სოციალური მედიის ქსელების ექსპერტად მოგვევლინა. ვარდების რევოლუციამდე ათი წლის წინ კი ერთად ვმუშაობდით არასამთავრობო ორგანიზაციების ფონდ „ჰორიზონტში“, მე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამის ხელმძღვანელად, ის -- ამავე პროგრამის ვიდეო სტუდიის მენეჯერად, დიზაინერად და ოპერატორად. იმ პერიოდში თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო „აიტიშნიკად“, ანუ IT- ის ექსპერტად, კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ტელეკომუნიკაციების ოსტატად ითვლებოდა. შესაბამისად, როგორც ყველა ოსტატი, თანმიმდევრულად და დაჟინებით სვამდა ჩემს სისხლს, თუმცა აქვე უნდა ვაღიარო, რომ საბოლოოდ საქმე შესანიშნავად გამოსდიოდა და როგორც ყველა ოსტატს, მეც სულს ვუბერავდი სანდროს ხელი რომ არ შეშლოდა და ნერვები არ აშლოდა -- იგი სტუდიას, და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდებოდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მის ჩამოყალიბებაში, წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაში ჩვენმა სტუდიამაც არანაკლები წვლილი შეიტანა.

ყველაფერი ზღაპრით განვითარდა: ერთხელ, სანდრომ, სად იყო და სად არა, თავისი ხელით აწყობილი და დასურათებული მცირე ზომის წიგნი მოიტანა ორიგინალური, შავ-თეთრი, გრაფიკული დიზაინით. გარეკანზე მოუქნელი ჭიაყელასავით ადამიანი ეხატა და ეს ადამიანი ძალიან ჰგავდა თავად ავტორს. სათაურად წიგნს „მოწყენილი კუტუს ამბავი“ თუ რაღაც მაგვარი ერქვა. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი რა მექნა, გამეცინა, სერიოზულად მიმეღო ავტორის გასაჭირი თუ მიმელოცა პირველი წიგნის გამოცემა! მოკლედ, ძალიან ავიჭერი, მაგრამ მივხვდი, რომ შემოქმედების ეს ნაყოფი, თვთნაკეთი იყო, ერთადერთი, ანუ, როგორც იტყვიან „ექსკლუზიური“ და უახლოეს მომავალში მაინც არ ეწერა გამრავლება, მითუმეტეს, თუ მთავარი გმირის გუნება-განწყობა- შესაძლებლობას გავითვალისწინებდით.

სანდრო მაღალი, ძალიან გამხდარი და მოკრძალებული ყმაწვილია, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი. მშვენიერი იუმორის გრძნობა აქვს. უთუოდ, აშკარად შემოქმედებითი მიების პროცესში იყო და საკუთარი ლიტერატურული ჟანრის შექმნას ცდილობდა, ფლობდა უკიდურეს ინფორმაციას და ეძიებდა, ცდიდა და სინჯავდა საკუთარ ნიჭსა და შესაძლებლობას. ღვინდებოდა როგორც შემოქმედი... და მე ეს თეორიულად მესმოდა, მაგრამ მხოლოდ თეორიულად, რადგან იმ „საბედისწერო“ დღიდან, იმ წიგნისა და მისი სათაურის გადამკიდე ჩვენს კოლეგა სანდროს თვალეში ვეღარ ვუყურებდი. მის დანახვაზე უმაღლესი მოწყენილი გრაფიკული პერსონაჟი წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ და ძალიან მრცხვენოდა -- ჯერ სანდროსი და მერე საკუთარი თავისი. ჩემ ბედად, სანდრო მალე იტალიაში გაემგზავრა სასწავლებლად. ჩვენ ახალი დიზაინერი მოვიყვანეთ. მას მერე სანდრო აღარ მინახავს.

გავიდა ხანი. ოპოზიციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე შესასვლელში ცნობილი „სირცხვილის დერეფანი“ გააკეთა. ამ კორიდორის გაუვლელად ვერცერთი თანამშრომელი ტელევიზიაში ვერ შევიდოდა. თუმცა „ვინც საჭირო იყო“, მსხვილფეხა მუშაკები, რაღაცნაირად მაინც ახერხებდნენ დერეფნის ავლით ტელევიზიაში შეღწევას. აი წვრილფეხებს კი გაშმაგებული ოპოზიციის ლაფი და ტალახი თავზე ნიაღვრად ესხმებოდა. ვდგავარ და ვხედავ მოდის ჩემი ყოფილი დიზაინერი, გამხდარი, მაღალი, ძალიან მოკრძალებული მაგრამ შეუპოვარი და დერეფანში გასვლის სულაც არ ეშინია. გააჩერეს და საბუთი მოსთხოვეს, იმან ღიმილით რაღაც უპასუხა და საბუთი გაუწოდა, უკანა რიგებიდან გაისმოდა შემახილები და დამცინავი უუუუუუუუუუუუუუუუ ... მიუხედავად იმისა, რომ დამცინავთა შორის არავინ იცოდა ვინ იყო ეს კაცი, რას წარმოადგენდა, რა ევალეობდა, რას წყვეტდა და წყვეტდა თუ არა რამეს საერთოდ იმ ტელევიზიაში. ერთხანს ატრიალეს მისი საშვი, მერე დაუბრუნეს და გაუშვეს. სანდროს ნერვი არ ატოკვებია, ასევე აუღელვებლად გაიკვლია გზა შესასვლელამდე.

მე ვიდექი ოპოზიციის რიგებში „სირცხვილის დერეფნის“ მისადგომებთან და ვუყურებდი ტელევიზიის შესასვლელისკენ მიმავალ, მხარზე ჩანთაგადაკიდებულ სანდროს. კიდევ ერთხელ შემრცხვა მისი და ამის გამო ძალიან გავბრაზდი საკუთარ თავზე. მერე უნებურად სიცილი ამიტყდა, ძალიან ხმამაღლა ვიცინოდი და არავის უკვირდა, რადგან გარშემო ისეთი არეულობა და აურზაური იყო, ვერავინ ხვდებოდა ვინ რაზე ბრაზდებოდა, რაზე იგინებოდა და რაზე იცინოდა. ჩემი სიცილის მიზეზი კი იყო ის, რომ არასდროს, არავის გამო, ამდენჯერ და ასე მძაფრად არ განმიცდია სირცხვილი, როგორც ჩემი ყოფილი თანამშრომლის გამო, რომელიც, პრინციპში, ჩემს ცხოვრებაში არავითარ როლს არ ასრულებდა, ცხოვრობდა სხვაგან, სხვა სიბრტყეზე, სხვა სამყაროში და თავისთვის წერდა „მოწყენილი კუტუების“ ამბავს.

სასაცილო ის არის, რომ ათასი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, ამ პატარა ლამაზ ქვეყანაში მე და ჩემი ძველი ამხანაგი მაინც და მაინც „სირცხვილის დერეფნის“ გაღმა-გამოდმა აღმოვჩნდით. არადა, ორივე „ბედკრული საქართველოს შვილები ვიყავით!“

წერილი 4

ზურაბ ლეჟავა, არა ახალგაზრდა, მაგრამ ასპარეზზეახლახან გამოსული, უფრო სწორედ ახლახან გაპოპულარულებული, არაერთი ბესტსელერის ავტორი, ქართველი მწერალი - ყოფილი პატიმარი, რომელიც მშრალ ხიდზე ვაჭრობით ირჩენდა წლების განმავლობაში თავს. არც სახლი ჰქონია და არც კარი, იქვე მშრალ ხიდზე ცხოვრობს თურმე თვითნაკეთ ბარაკში, განდეგილად, არც მთავრობა აინტერესებდა და არც მწერალთა კავშირი (უკვე რა დამაინტრიგებელია არა?).

ჰოდა ვინ აცალა მწერალს განდევილობა? თავად კულტურის მინისტრი დაინტერესდა მისით: ვინმელო ქართველებმა კიდეც ერთი საბედისწერო შეცდომა არ დავეშვათ და „ნიკალასავით“ ეს ხელოვანიც რომელიმე კიბის ქვეშ ხელიდან არ გამოგვეცალოსო, მისი განსაკუთრებული პატრონობა იკისრა. შესანიშნავი, კეთილშობილური მიდგომაა, მაგრამ რად გინდა, როგორც ხდება ხოლმე, ისე გადაამლაშეს, საბოლოო ჯამში განდევილი მწერლიგან, რაღაც მისტიკური, კლასიკურ-ეგზოტიკურ-ავანგარდისტულ-აბსურდულ-რეალისტური ხატი შეექმნეს და როგორც მოსალოდნელი იყო, კულტუროლოგიის ეს აღმოჩენაც საქართველოს დღევანდელი კულტურის მინისტრს მიაწერეს. არადა ხომ არსებობდა ზურაბ ლეჟავა თავისი ბოჰემური ლიტერატურით? როგორ არ არსებობდა, მაგრამ ვიდრე ამაზე „თანამოკალმეები ალაპარაკდებოდნენ“, ვარდების რევოლუციის მინისტრმა ჭკუა იხმარა და ყველას დაასწრო. (კულტურის სამინისტროში მგონი ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელადაც დანიშნა).

ბევრი ეცადა თურმე ზურაბ ლეჟავა არ დაეკარგა თვითმყოფადობა და იდუმალი სახე, მაგრამ, როცა რეჟიმს შენი ხატი და შემოქმედება სათავისოდ სჭირდება, ამის გაკეთება ძალიან ძნელდება, ამას მკაცრი რეჟიმის პირობებში მიღებული გამოცდილებაც ვერ ერევა. მე არაფერი ვიცოდი მის შესახებ. არც მის შემოქმედებას ვიცნობდი და ამის გამო ძალიან ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ასეთი მწერალი რატომ გამომრჩა მეთქი მხედველობიდან. არადა, აშკარად ჩემი თაობის კაცია და ამ თაობას კარგად ვიცნობ, თუ სამწერლო, ზოგადად სახელოვნებო, სამეცნიერო, ბოჰემური თუ კრიმინალური წრეებიდან.

ჰოდა, სწორედ ეს ზურაბ ლეჟავა აღმოუჩენია დღევანდელი და გუშინდელი უდიდამო (უნიჭო რომ არ ვთქვა) მწერლების ალტერნატივად ნიკა რურუას, და როგორც ჩანს, დიდი ძალისხმევაც დასჭირვებია მის მოსათვინიერებლად. სწორედ ზურაბ ლეჟავას მოთხოვნა მოხვედრილა საქართველოდან მსოფლიო ლიტერატურის ანთოლოგიაში, პირველი და იმედია არა უკანასკნელი. ესეც ასე მეთქი, გამიხარდა ძალიან, როგორც იქნა გამოჩნდა შემოქმედი, ოსტატი, რომელიც იმ დაკარგული სამოცდაათიანელების სახელით საბოლოოდ დაადგამს მეთქი გვირგვინს თაობას: საინტერესო ბიოგრაფია -- მწერლისთვის ზედგამოჭრილი -- სახელი და გვარი დიდებული, შემოქმედება -- საკამათო და სკანდალურიც, მოკლედ, ყოველმხრივ შემკული და ჩამოყალიბებული, დაღვინებული მწერალი. გარეზნობა? გარეგნობა აქ რა მოსატანია, როცა ამდენი საჭირო ატრიბუტია სახეზე, თუმცა გარეგნობაც რაღაც სხვანაირი, თუ მოინდომებ და ჩაუღრმავდები: გენიოსისთვის დამახასიათებელი მიამიტობა, დაბნეულობა, ოდნავი სიცანცარე, მრავალმნიშვნელოვნად მომდიმარი, წელში ოდნავ მოხრილი და ლერწამივით რხევადი, მოკლედ, ტიპური ნობელიანტი სახეზეა და ახლა მისგან საპრემიო სიყვას მოველი „გალას“ დაჯილდოებაზე.

სიტყვამაც არ დააყოვნა. ბოდიშს ვიხდი, თუ ზედმიწევნით ვერ დავიცავი ლექსიკა, რადგან როდოსში ვარ და ზუსტად არ მახსოვს რა სიტყვები იხმარა პრემიანტმა, მაგრამ სტილი და შინაარსი დაცულია:

— დიდი მადლობა პარლამენტს... ამისთვის და ამისთვის! მადლობა კულტურის სამინისტროს და პირადად ნიკა რურუას! მადლობა ჩვენს მამას და მარჩენალს ზალიკო სამადაშვილს და მადლობა (არა, პარტიას და ხელისუფლებასო არ უთქვამს...) ჩვენს დაუცხრომელს, თუ დაუდგრომელს თუ შეუპოვარს, ზუსტად არ მახსოვს, რა ეპითეტი იხმარა ამ სამიდან, პრეზიდენტსო კი თქვა და ამით დაადგა გვირგვინი თავის საპრემიო სამადლობელ სიტყვას.

საქართველოს უახლესი ისტორიის რა პერიოდი არ გამოვიარე -- ოქტომბრელობის, პიონერობის, კომკავშირელობის... ქართველ სამოციანელთა სოცრეალიზმთან ბრძოლის თვითმხილველიც ვარ და პარტიითა და ხელისუფლებით ასეთ პიროვნულ (მასობრივს კი) და გამჟღავნებულ აღფრთოვანებას ჯერ არ მოვსწრებოვარ ყველაზე პარტოკრატი მწერლებისგანაც კი. არა, ნამდვილად არ მახსენდენა, თუ არა და გამახსენოს ზალიკო სამადაშვილმა.

ვუყურებდი ტელევიზიით, როგორ წითლდებოდნენ და უხერხულობისგან როგორ უსაქციელოდ იცინოდნენ ამ დაუსრულებელი მადლობების ადრესატები, პრეზიდენტის გამოკლებით, რომელიც რატომღაც „გალას“ დაჯილდოებას არ დასწრებია. ვიღაცამ მითხრა იღადავაო და გული მომიბრუნდა. მერე ისევ გავბრაზდი საკუთარ თავზე, ახლა ხუმრობასა და ღადაობასაც ვეღარ ვიგებ მეტეხი წესიერად. რა ვიცი, ისე, შეიძლება მართალიც იყოს, ეს ბოლო ათწლეულებია ისეთ იუმორს გვასმენინებენ და გვაყურებინებენ, შეიძლება ხალას და ნაღდ ხუმრობას ვეღარცა ვცნობ. თუმცა, ვიღაცას უთქვამს, ყველა ხუმრობაში, მხოლოდ ნაწილია ხუმრობა, დანარჩენი სულ ნაღდიანო.

P.S. ზურაბ ლეჟავა ჯერ არ წამიკითხავს, ისევ როდოსში ვარ და ერთი სული მაქვს საქართველოში ჩავიდე და პირველი წაკითხვის სიამოვნებით დავტკბე. შეიძლება ყოველი ზემოთქმული სულ თავდაყირა დადგეს!

წერილი 5

მე პატარა ქართველი ვარ და, მაშასადამე, კავკასიის მთების შვილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ცხოვრება მიდის და „პროგრესმა“ ისე მოიცვა სამყარო, რომ სულ რაღაც ათიოდე საათი დამჭირდა იმისათვის, რომ კავკასიის მთებიდან ჰიმალაებში ჩავფრენილიყავი და იქ გულიდან ამომებლავლა აქ მინდა სიკვდილი თქო. შანხაიში მეთქვა, აქ რომ ქუდი შემომიგდო, ფეხს ვეღარ შემომადგმევინებდით, მაღრიდში კიდეც უფრო ცოტა დრო დამჭირდა იმისათვის, რომ წამომცდენოდა, ეს ჩემი ქვეყანათქო, იერუსალიმში ქრისტეს

ნაკვალევზე გამეწვლი და საქციელი დამკარგოდა, მისისიპის ნაპირზე ჰეკლბერი ფინთან ერთად ჩიბუხი გამებოლებინა, გრიგალსა და თავსხმაში პომპეის ლაბირინთში დავკარგულიყავი, აზობოქრებულ გიბრალტარში ცხრა ბალიან ტალღებზე მეხტუნავა სულ პაწია გემით, სახელად „ლატვია“, შვეიცარიაში ანტიგლობალისტების აქციაში დროშა მეფრიალებია, ლონდონში ტერაქტის ეპიცენტრში მოვეცეულიყავი და რა ვიცი კიდევ რამდენ და რა გაუგებრობაში მოვყოლილიყავი შინ და გარეთ.

ახლა ვარ როდოსში, საბერძნეთის ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულად მნიშვნელოვან კუნძულზე, სამყაროს ერთ-ერთი სასწაულის როდოსის კოლოსის სამშობლოში და ჩემს არაქართველ მეგობრებთან ერთად როდოსელი გამოჩენილი მწერლის ნიკოს კაზდაგლისის პრიზის დაარსებაზე ვმუშაობ (კიდევ ერთი გაუგებრობა, მაგრამ ეს გრძელი ამბავია და ამაზე სხვა დროს და ცალკე, თანაც, ჩემი და როდოსის დაკავშირების ისტორია ოთხმოცდაათიან წლებში უკვე ორ გრძელ ესსეში მაქვს აღწერილი. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის წყლებში აღმოცენებული ეს სასწაული კუნძული ჩემი ნავთსაყუდელი მაშინ აღმოჩნდა, როცა შავი ზღვის ნაპირზე მდებარე „საკუთარი“ სამოთხიდან ფეხი ამომიკვეთეს.

ის, რაც ადამიანმა ხელის აუკანკალებლად წამართვა, ღმერთმა თავისი უკიდევანო სიუხვით მიბოძა და იმის საშუალებაც მომცა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებთან ერთად ამ ღვთით გასხივოსნებულ მიწაზე პატარ-პატარა სიკეთეები მეკეთებინა, თუნდაც ერთი ზეთისხილის ხე დამერგა. ჩემი სახლი როდოსში „მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის საერთაშორისო ცენტრია“. იგი ზღვის პირას, მთის კორტოხზე, თურქი ფაშას ყოფილ სასახლეშია განთავსებული და შუქურასავით გადაქყურებს მთელ სანაპიროს.

2011 წლის მარტია, თბილი არაჩვეულებრივი, მზიანი დღეები დამხვდა. სხვათა შორის აქ საერთოდ არ იცინა გამოთქმა „გიჟი მარტი“ -- ხავერდოვანია მარტიც აპრილიც და ... საერთო ეკონომიკურ კრიზისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომელმაც საბერძნეთი განსაკუთრებით დააზარალა, ეს არის ის ერთადერთი წერტილი, სადაც ჯერჯერობით საყოველთაო მშვიდობა და სოლიდარობა სუფევს. რაც შეეხება კრიზისს, როდოსელების ღრმა რწმენით, ეს მათდამი მსოფლიო შურის შედეგია -- „იმდენი გვიძახეს, სამოთხეში ხართ სამოთხეშიო, სანამ თვალი არ გვეცა“ - ამბობენ ისინი.

ჩემი ფანჯრიდან სანაპირო მოსჩანს. დღეს პირველად გამოვიდნენ ნაპირის გასაწმენდად. სეზონისთვის დაიწყეს მზადება. ერთი ორი კაციც დავინახე, ყველაზე გაბედულები, ვუყურებდი, როგორ შედგაფუნდნენ წყალში და ნეტარებდნენ მის სილურჯესა და სილაჟვარდეთში. დღეს ზღვა უწყნარესია და სარკესავით ლაპლაპებს. ფანჯრიდანაც კი ვხედავ ფსკერზე მიმოხეულ მოწითალო კენჭებს. სამოთხეში ვარ აბა რა? და რა უნდა

მოხდეს, რომ ვინმეს გამოწვდილ ვაშლს პირი დავაკარო, არადა ხილს მიაქვს როდოსი, მერე და როგორ ხილს!

წერილი 6

“ზულისათვის და შთამომავლებისათვის კარგია, თუ პლუსში ცხოვრობ, ცუდია თუ მინუსში ხარ, კატასტროფაა როცა ნული ხარ! ფლავიუსი” (ამონაწერი ფეისბუქიდან).

ნიკო სავასი როდოსის „ძველ ქალაქში“ ყველაზე ძვირფასი რესტორნების მფლობელია, ცოტა მობერდა და საქორწილო გენერალივით მხოლოდ საპასუხისმგებლო შემთხვევებში გამოანათებს ხოლმე რესტორნის სიღრმეში განთავსებული კაბიეტიდან.

– შევიდეთ და თუ იქ დამხვდა, გამარჯობას ვეტყვი მხოლოდ – თქვა პიტერ კურმანმა.

უკან გავეყვი. ძალიან მდიდრული, ოქროსფრად მოვარაყებული წითელი ხის დერეფანი გავიარეთ, შავი ხის მაგიდებითა და ასეთივე ფერის მასიური სკამებით, უშველებელი სარკეებით და სინათლეზე მოციმციმე ბროლის ფუჟერებითა და სასანთლებით. დერეფნის ბოლოს, თითქმის სიბნელეში, კარტის პატარა მაგიდასთან ერთი ჩია კაცი იჯდა და სიგარას აბოლებდა. მისკენ მიმავალი პიტერ კურმანი რომ დაინახა, თვალები მოჭუტა, მძიმედ წამოდგა ფეხზე, ახედ-დახედა, თითქოს გახსენებას ცდილობსო და ზრდილობიანად გაუღიმა. მომეჩვენა, რომ ვერ იცნო, პიტერსაც ასე მოეჩვენა და დაასწრო, პიტერი ვარ კურმანი შვედეთიდანო. მასპინძელმა შვებით ამოისუნთქა. დარწმუნებული ვარ ბოლომდე ვერც კი გააცნობიერა ვინ იყო, მაგრამ ეტყობა ვერსია მოეწონა და მხიარულად შესძახა, გიცანი, აბა არ გიცანი, პეტრო, პეტრო შე ძველოო! თან მოსამსახურეებს ხელით ანიშნა აბა, დატრიალდითო. ერთ ძალიან ლამაზად მორთულ მაგიდასთან მიგვიპატიჟა და რას დალევთო, გვკითხა. პიტერმა უზო შეუკვეთა, მე -- ბერძნული ყავა. ნიკო კეთილად იღიმოდა, ეტყობა თანდათან იხსენებდა პიტერს, მასთან გატარებულ დროს და შიგა და შიგ ეკ, პეტრო, პეტროო იმეორებდა. მერე პიტერმა თქვა: „ბამბულა“? და ისტერიული სიცილი აუტყდა. ნიკომ, თითქოს ამას ელოდაო, აი მაშინ კი აიწყვიტა, მოხსნა გუდას ბაწარი და ერთმანეთის მიყოლებით ამოუშვა ათასი ზღაპარი და სინამდვილე, სათქმელიც და უთქმელიც. გულიც მოიფხანა და ჩვენც კარგად გვახალისა.

– ეკ პეტრო, პეტრო, სად იყავი აქამდე, ორი ოპერაცია გავიკეთე გულზე – თქვა ნიკომ და ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, შიშისგან კინაღამ მე გავხდი საოპერაციო. მერე სიგარა თითებს შორის დაატრიალა და თქვა, რა ვქნა ჭკუა არ მყოფნის, რომ თავი დავანებოო.

ოფიციატები თავს დაგვტრიალებდნენ, ნიკო მოჭუტული თვალებით იღიმებოდა და იგონებდა და იგონებდა მთის და ბარის ამბებს. თურმე მაშინ, კარგი დრო რომ იყო, როდოსში „ლევაისი“ ჩამოსულა და ძველ ქალაქში გაუსეირნია. ნიკოს რესტორანისთვის

დაუდგამს თვალი და აქ მინდა სადილიო, უთქვამს დაცვის ბიჭებისათვის. ისინიც უმაღ შეცვნილან რესტორანში, მიუთვალაიერ-მოუთვალაიერებიათ იქაურობა, შემდეგ ადმინისტრატორისთვის უბრძანებიათ, მისტერ ლევასი მოგვყავს სადილად და აქაურობა მოამზადეთო. ადმინისტრატორები პანიკაში ჩაცვნილან და ნიკოსთან გავარდნილან, ახლავე რესტორანში წამობრძანდით, „ლევასი“ გვეწვია და შეხვდითო.

_ საცოდავი ადმინისტრატორი! ისე დაიბნა, ჭკუა აღარ მოეკითხებოდა. დაავიწყდა, რომ ამ გემზე მე ვიყავი კაპიტანი, ნიკოს სალასი, მაგრა შეეშალა უბედურს, მაგ ლევასის ლურჯი ჯინსები სად მიგდია, რომელ სხვენში, არც მახსოვს! _ მერე ონასისზე მოჰყვა:

_ ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ ეგოისტი და რაც „დიდმა მამამ“ (Big Papa) მისცა (საჩვენებელი თითი ზესისკენ აღაპყრო) არ იმყოფინა. ციფრებით გამოიტენა თავი. ერთიანი და ზედ მიწერილი ბევრი ნული სთხოვა ღმერთს და იმანაც მისცა. ერთხანს აცალა და როცა ანგარიშის გასწორების დღე დადგა, ამან ახალ მოთხოვნას კიდევ რამდენიმე ნული მიაწერა. ღმერთმა უთხრა, შენი იყოს, ოღონდ ერთ ციფრს ჩამოგაჭრიო და ჩამოაჭრა იმ ნულიანებს ერთიანი და დარჩა ბევრი ნული, ნული კი მილიონიც რომ გქონდეს, ნულია, _ თქვა ნიკომ და საჩვენებელი და ცერა თითით ნულიანი დაგვანახა.

_ აღარაფერი შერჩა ონასისს, არც ვაჟი, აღარც ქალიშვილი, არც კენედის ცოლი. ამერიკელებს შეუთვალა, ჩემი შვილი ამერიკის პრეზიდენტი უნდა გავხადოო და გაუჩალიჩეს კიდევაც ამერიკელებმა ის, რაც შემდეგ დაემართა. ტვინი არ ეყო ძალიან ჭკვიან ბიზნესმენს, მსოფლიოს მბრძანებლობა მოუნდა, ზედმეტი მოინდომა, პოპულარობას შესწირა ყველაფერი. ჩვენ ეს არ მოგვწონს, პოპულარობას კარგი არავისთვის მოუტანია, ნულია--ზერო! მე ფულის ფლანგვა მიყვარს, ციფრებს ვერ ვიტან, დიდმა მამამ (საჩვენებელი თითი ისევ ზეცისკენ ასწია) იცის! როგორც გადაწყვეტს, ისე იქნება! ციფრების მონა მამას არ უყვარს, გულის ხმას უნდა მიჰყვე და გონება არ გიღალატებს.

მოკლედ, ეს ჩვენი ნიკო სამოცდაათი წლის ასაკში ნამდვილი არისტოტელე გამხდარა, გადაუდია ფეხი ფეხზე და ათას „ხიდზე“ გადამხტარს ახლა მხოლოდ ღვთის მსახურებისთვის და ფილოსოფიისთვის მოუცლია. მის ბადეში უნებლიედ გახვეულ უბრალო მგზავრსა თუ გზააზნეულ ბიზნესმენს ცხოვრების საკითხებზე მასტერ კლასის ჩატარებასაც არ დაამადლის.

_ეჰ პეტრო, პეტრო, ბამბულა მახსოვს, აბა არ მახსოვს!_დასძინა ბოლოს, სადღაა შენი ბამბულა, სადღაა ძველი როდოსი... _ამოიოხრა მან და ჩემი გულის გასახეთქად, ერთი ღრმა ნაფაზი კიდევ დაარტყა. „ბამბულა“ ბარ-რესტორანი ყოფილა ზღვაში, თავისი სასმელებით, ბუზუკითა და „ნიმფებით“.

ახალგაზრდებს ციფრების მეტი არაფერი აინტერესებთ. ფული! ფული - ნულია, ზერო! ამბობს ის და თითებით გამოსახულ ნულიანში იჭყიტება.

წერილი 7

ლიკა, ვერ გეტვით რა ყაიდის ჟურნალისტია, მაგრამ ფაქტია, რომ დაფასება და პატივისცემა არ აკლია მთავრობისა და მისი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. რაც მართალია, მან ყველაფერი იცის ჟურნალისტიკაზე, განსაკუთრებით კარგად ფლობს ჟურნალისტიკის თეორიას და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკაში -- მის „მენეჯმენტსა და ადმინისტრირებას“. წერისა და მეტყველების სტილიც სფეროს შესაბამისი აქვს. აქტიურ, ანუ პრაქტიკულ ჟურნალისტიკას ვერც თავისდროზე წყალობდა და ვერც ახლა, აკი გითხარით, თეორიაში არის მეთქი მაგარი. უკიდურესად „პატიოსანი“ და კანონმორჩილია, რის დამტკიცებასაც თვენის ნებართვით, პატარ-პატარა წინათქმებით, მოკრძალებული კომენტარებითა და ხელმოსაჭიდი ფაქტებით აქვე, თქვენს თვალწინ შევეცდები.

არ ვიცი რამ გამახსენა ახლა, ცივილიზაციის აკვანში, როდოსში, ამ გაცხადებულ სამოთხეში ქართული ჟურნალისტიკა ან მისი მოამაგე ლიკა თავისი პატიოსნებითა და კანონმორჩილებით? მაგრამ რას იზამ თუ სწორედ აქ, სადაც ფიქრის საზღვრები განუსაზღვრელია, ნეტარებით გაზულუქებული გონება ხანდახან არასასურველ განსჯაში და კიდევ უფრო არასასურველ მოგონებებში გადაგაგდებს?

ამ პრელუდიის შემდეგ უთუოდ მიხვდებოდით, რომ ჩემსა და ლიკას შუა დიდი ზღვარი დევს. იგი დღევანდელი იდეალური პროდუქტია და განსაკუთრებით ახლობელი დღევანდელი მმართველი კლასის მენტალიტეტისათვის, მისი პოლიტიკის ზედმიწევნით კარგად მცოდნე და აღმსრულებელი, მეტნაკლებად პრინციპული, აუცილებლად უნიჭო და თუ საჭირო გახდა -- უზნეოც. ასეთ ადამიანებს ასევე ძალიან წყალობენ ხოლმე ადგილობრივ ვითარებაში ბოლომდე ვერგარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციებიც და მათი „ექსპერტებიც“.

ლიკა, ჩემთვის ერთი ადამიანი კი არა, კრებითი სახელი გახდა და იმ კასტას წარმოადგენს (მიეკუთვნება), რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს არასამთავრობო/სამოქალაქო სექტორის წიაღში აღმოცენდა, ჩამოყალიბდა, კატასტროფულად გამრავლდა და გაძლიერდა.

ისე მოხდა, რომ ეს კრებითი „ლიკა“ ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე სხვა და სხვა მიმდინარე მოვლენებთან ერთად კარგად ახერხებდა თავისი კვალის დატოვებას. და

ვინაიდან და რადგანაც ეს სახე ჩვენს ყოფაში დღესაც აქტუალური და წარმატებულია, მე ძალიან მიჭირს მისი იგნორირება და ჩემი ცხოვრებიდან ამოშლა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ლიკამ მოკრძალებული ღიმილითა და საუკეთესო სურვილებით ერთხელ კინალამ სამსახური დამაკარგინა, დაკვირვებულ თანამშრომლებსა და რამდენიმე გულანთებულ „ენჯიოშნიკს“ მისი „გულუბრყვილო“ შეცდომა რომ არ გამოეაშკარავებინა და საჯარო განხილვის საგნად არ ექცია. მეორეჯერ კი, კინალამ დააჭერინა ისევ მოკრძალებული ღიმილითა და საუკეთესო სურვილებით). ეს ამბავი იმდენად ორიგინალურია, რომ მოყოლად ნამდვილად ღირს:

ერთ დღეს გაეროს დემოკრატიული განვითარების ოფისიდან დამირეკეს (ამ ორგანიზაციამ ჩემი ავტორობით საქართველოში მედიის განვითარების საკითხებზე წიგნი გამოსცა სახელწოდებით: „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ“) და მთხოვეს ცოტა ხნით თქვენი წიგნის გავრცელება შეწყვიტეთო. რაშია მეთქი საქმე - ვიკითხე და მომახსენეს, საერთაშორისო ორგანიზაცია „აითრექის“ მედიაპროექტის თანამშროელი გვატყობინებს, რომ თქვენს წიგნში გამოყენებული კითხვარი მათი საკუთრებაა და თქვენ იგი უკანონოდ გამოიყენეთო. უეცრად ვერ მივხვდი რომელს პროგრამაზე ან რა მითვისებულ კითხვარზე მელაპარაკებოდნენ, რადგან ყველაფრის მითვისება წარმომედგინა ამ უცნაურ საზოგადოებაში, მაგრამ კითხვარის?... ვერა. მაცნეს ჩავეძიე, გამიმეორეთ ვინ და რას მიჩივის მეთქი. იმათაც გამიმეორეს და დასძინეს, რომ ამ ადამიანისთვის წიგნი თავად გაქვთ სამახსოვრო წარწერით ნაჩუქარიო. (წარწერის შინაარსს ნუ მკითხავთ, არ მახსოვს და რომც მახსოვდეს სირცხვილით აღარც გავიხსენებდი). ეს მომჩივანი არც მეტი და არც ნაკლები, ზემოთ ხსენებული ლიკა გახლდათ.

საქმე იმაშია, რომ „აითრექმა“ წლების წინ საქართველოს მედიის განვითარების ინდექსის დასადგენ გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად მიმიწვია და სამუშაოდ მეც და სხვა მოწვეულებს სწორედ აღნიშნული კითხვარი დაგვირიგა. მუშაობის დროს დიდძალი მასალა დამიგროვდა, რომელიც შეთანხმებისამებრ, „აითრექს“ გადავეცი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამ მასალაზე დაყრდნობითა და იმავე კითხვარის გამოყენებით უახლესი ქართული მედიის განვითარების პროცესების ამსახველი წიგნი დავწერე. წიგნმა გაეროს დაფინანსება მოიპოვა და დიდი ტირაჟითაც გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. რაც მთავარია, წიგნის შესავალ ნაწილში ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ პუბლიკაციაში გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაცია „აითრექის“ კითხვარი.

ვიდრე საქმეს ნათელი მოეფინებოდა, გაეროს ოფისმაც და გამომცემლობამაც წიგნის გავრცელება შეწყვიტა. მე საქმის გასარკვევად „აითრექის“ იურისტი დამიკავშირდა.

საქმე კრიმინალის სუნი აუვიდა, მაგრამ საბედნიეროდ, წაიკითხეს, ჩაულრმავდნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს, დარწმუნდნენ და რანდენიმე დღეში წიგნის გავრცელება გაგრძელდა, მე „დაჭერას“ გადავრჩი, „აითრექის“ იურისტმა კი პროფესიული დარიგება მომცა, ვიდრე წიგნებს გააჩუქებდეთ და თავფურცელზე წარწერას გააკეთებდეთ, ასჯერ გაზომეთო!

ამ ამბის შემდეგ, სხვათა შორის, „აითრექის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამშრომელი ქრთამის აღებაში ამხილეს და 8 წლით ციხეში ჩასვეს.

აბა რა ვიცი! მახსოვს, ერთი ჩემი ამხანაგი მოსკოვის საერთო საცხოვრებელში თავის ოთახის მეწყვილეს დედამისის გამოგზავნილი ხაჩაპურებით ასუქებდა, იმან კი, ადმინისტრაციაში უჩივლა, ამის მშობლები პედაგოგები არიან და ამდენი შესაძლებლობა საიდანო...?

ამის შემდეგ არაერთხელ შემხვედრია ეს ლიკა ხან ჟურნალისტურ კონკურსებზე (მინიმუმ ჟიურის წევრად), ხან ფოტო გამოფენებზე, ხან კონფერენციებზე, და მილიმოდა თავმდაბალი, მოკრძალებული ღიმილით, ვითომც არაფერი მოხდარა ჩვენს შორის. როგორც ამერიკელები იტყვიან: არაფერი პირადული -- მხოლოდ ბიზნესი! მილიმოდა და ხანდახან ოჯახსაც მომიკითხავდა ხოლმე. ერთხელაც ტელევიზიიდან შევიტყვე, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის განახლებულ „ბორდში“, სწორედ მაშინ „ძაღლები“ რომ გაყარეს და „კატებს“ დააწყებინეს ყეფა, ერთ-ერთ წევრად აურჩევიათ. რამდენიმე თვის წინ ისევ ვიხილე ტელევიზიით. დათო პაიჭაძესთან ერთად „აითრექის“ ერთ-ერთი მედია პროექტის შესახებ საუბრობდა. პროექტის დირექტორად „აითრექს“ ისევ შეუცვლელი ლიკა დაუნიშნავს.

P.S. „აითრექი“ გამოგონილი სახელია. არა, მაინც რამ გამახსენა შუა ევროპაში, ცივილიზაციის აკვანში, გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დღეს ქართული მედია და ქომაგნი მისნი? რას გაიგებ! ასეთია ადამიანის ბუნება, უმადური, შეგიძლება ეშმაკი და მერე... აიდა, შენი გუდა-ნაბადით სამოთხიდან!

წერილი 8

გულრიფშიდან თბილისისკენ მომავალნი, მე, ჩემი შვილი და სოსო ნიჟარაძე ხობში სასტიკ ავტოკატასტროფაში მოგყევით. „ნივა“ ისეთ დღეში იყო, პატრონმა, ზურაბ წერეთელმა, რომელიც უკან თავისი ჯიპით მოგვეყვებოდა, მაგდანა ლურჯასავით, იქვე დააგდო. ჩვენ სამს, ნაკაწრიც არ გვექონდა. ისე ჩამოვედით თბილისში, ჩემს მშობლებს ეს ამბავი არც კი გაუგიათ.

გაგანია სტაგნაციის პერიოდი იყო საბჭოთა კავშირში -- „უძრობა“. მაშინ ეკლესიაში თითო ოროლა კაცი თუ დადიოდა და მათ შორის ჩემი თანამშრომელი ჩიტო ნემსაძე.

მივედი ჩიტოსთან რჩევისთვის: ასე და ასე დაგვემართა, ღმერთმა გადაგვარჩინა, ახლა ცხვრის შეწირვა გვინდა და სწორად როგორ ჩავატაროთ ეს რიტუალი მეთქი -- ვკითხე. – მარხვა შეინახე, ერთი მარხვა, მთელ ფარაზე მეტიაო - მიპასუხა

სოსო ბოლომდე ვერ ენდო ჩიტოს დარიგებას და ჩვენი გადარჩენის აღსანიშნავად ცხვარიც შეწირა დიდუბის ეკლესიას და დიდი ქიფიც გადაიხადა. მე კი მაშინ პირველად ვიმარხულე ჩემს ცხოვრებაში.

მოსკოვში ვახლდი დედას. კუნცევოში იწვა, კრემლის საავადმყოფოში, ძალიან მძიმე დიაგნოზით. დღისით მასთან ვიყავი, ღამეს კი სასტუმრო „მოსკოვში“ ვათევდი. კუნცევომდე ქალაქიდან ტაქსით 45 წუთი ვუნდებიდი.

ღამის პირველ საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ძილ-ბურანში ვიღაც ქალი რუსულად მეუბნებოდა: „Ваша мама умирает, скорей приезжайте!“. ამ ფრაზის მერე რამდენიმე წუთი რა ხდებოდა ჩემს გონებაში არ მახსოვს, როცა გონს მოვედი „ალო, ალო, «вы меня слышите?» - ისმოდა ყურმილიდან და მე დავსვი სრულიად უაზრი კითხვა „Она жива?“. დიახ ცოცხალია, მაგრამ კვდება და გთხოულობთო, მითხრა.

სასტუმროს ცენტრალურ შესასვლელთან ოცდაოთხი საათი ტაქსები მორიგეობდნენ. პირველივეში ჩავხტი.

– Давай брат гони в Кунцевво, мама умирает! – ჩქარ-ჩქარა მივაყარე მძღოლს და თან შეუკრავი ბათინკების, გაღეღილი ქურქის და გვერდზე მოქცეული „უშანკის“ მოწესრიგებას შევუდექი. მძღოლი მოტრიალდა და დავინახე, რომ ქალი იყო, ლამაზი რუსი ქალი. არ გამკვირვებია, მოსკოვში ბევრჯერ შემხვედრია ტაქსისტი ქალი, მაგრამ ის ძალიან ლამაზი იყო. ბოდიში მოვუხადე, გონება მაქვს არეული თქო, არც კი ვიცი ცოცხალია თუ არა დედაჩემი, მითხრეს, რომ ცოცხალია, მაგრამ შეიძლება მიმალავენ მეთქი.

– ნუ გეშინია, რომ მომკვდარიყო არავინ დაგიმაღავდა, -- მითხრა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა..

საოცარი სისწრაფით მიქროდა. მთელი გზა ვდარდობდი, ლოცვა რატომ არ ვიცოდი და ჩემი სიტყვებით ვევედრებოდი ღმერთს, დედა ცოცხალი დამახვედრე მეთი, იმასაც დავპირდი, აქედან მკვდარს ნუ წამაყვანინებ და ყველა მარხვას შევინახავთქო. კუნცევოს ტყეებში შევედი. გზა არ თავდებოდა, ბოლოს იმ ლამაზმა მძღოლმა მკითხა, რომელი შესასვლელი გინდაო, მეორე მეთქი ვუთხარი, მოუხვია და დარაჯს სიგნალი მისცა, ალაყაფი გაუღეს, მანქანა ზედ კორპუსთან გააჩერა. ფული ხელში მეჭირა და წინა დასაჯდომზე დადებოდა რომ დავაპირე, ხელზე ხელი დამადო და მითხრა, არ არის საჭირო, გაიქეცი, დედას მიუსწარიო. მაშინღა შევხედე იმ ქალს დაკვირვებით და

მივხვდი, რომ თურმე არც ის იყო ტაქსისტი და არც ის „უცხოური“ მანქანა, იყო ტაქსი, რომელშიც ვიჯექი. ქალს ძალიან მდიდრულად და გემოვნებით ეცვა. დამრიგებლური, ჭკვიანი თვალებით მიყურებდა. მადლიერებისა და ემოციის სიტყვიერი გამოხატვის არც დრო იყო და, როგორც შევატყვე, არც აუცილებლობა, ყველაფერი წამში ითქვა ჩვენ ორს შორის, თვალებით. ახლა მთავარი იყო დედაჩემის პალატამდე ჩქარა, ძალიან ჩქარა მიმეღწია. საოცრად ლამაზად ბარდნიდა, დიდი ფანტელებით.

– სამ საფეხურს ერთად თუ ავახტები, დედაჩემი ცოცხალი დამხვდება, იმ დერეფანს 20 ნაბიჯში თუ გავირბენ დედაჩემი ცოცხალი დამხვდება, ვითვლიდი ზუსტად ისე, როგორც სოსოია „მე ვხედავ მზეში“: ორმოცდაათამდე თუ დავითვლი ხატია თვალახელილი დამხვდება, ამ ორმოს თუ გადავახტები, ხატია თვალახელილი დამხვდება... შევანგრე მერვე პალატის კარი და ... დედაჩემი პატარა ბავშვივით თეთრი, სუფთა და მოვლილი იჯდა ლოგინზე, დიდი ლურჯი თვალებით შემომცქეროდა და გრძელ წამწამებს აფახუნებდა. მერე ტირილი დაიწყო, როგორ შეგაშინე, მაგრამ მართლა ძალიან ცუდად ვიყავი, ახლა უკან როგორ უნდა დაბრუნდეო?

1984 წლის სექტემბერში, მე და ჩემი და ოჯახით გულრიფში ვიყავით. დედა და მამა საგურამოში. დილას წელი მამიდა დაგვადგა თავზე. აიბარგეთ, თბილისში უნდა წავიდეთ, ნოდარი საავადმყოფოში გადაიყვანესო. ქეთინო ხუთი თვის ფეხმძიმე იყო. ნოდარიც ცხრა წლის, ლევანიცო - ხუთის.. თვითმფრინავში სიტყვა არცერთს დაგვცდენია. გულრიფშიდან თბილისამდე დაუსრულებელი 45 წუთი ვიფრინეთ. ისევ ლოცვა მომინდა და ისევ არცერთი ლოცვა არ ვიცოდი. მთელი გზა ღმერთს ჩემი სიტყვებით ვევედრებოდი, ოღონდ მამაჩემი ცოცხალი დამახვედრე, მარხვას შევინახავმეთქი.

აეროპორტიდან პირდაპირ „ლეჩკომბინატში“ წავგიყვანეს. ქეთინო პალატაში შევარდა, ნოდარიცო შეჰყვა, მე დერეფანში ფანჯარასთან ვბლოდი და ვერ შევდიოდი. მამა ცოცხალი დამხვდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალიან ცოტა დრო მქონდა დარჩენილი, მალე ხელიდან გამომეცლებოდა. პალატაში რომ შევედი, მამაჩემი ლიგინზე იყო ჩამომჯდარი, ჩემს ნოდარიკოს გულში იხუტებდა და ტკბილი, მშვიდი ხმით ებუტბუტებოდა – „შემობრძანდით ბატონო ორგანიზმში!“

წერილი 9

ისევ როდოსი, 2008 წლის მაისში „სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით როდოსის კეთილშობილ მოქალაქეთაგან ერთმა მოხუცებულმა წყვილმა როდოსის ლიტერატურის ცენტრს

საკუთარი „მოკრძალებული“ სასახლის პირველი სართული რამდენიმე დარბაზით საჩუქრად გადასცა. გადაწყდა, რომ ეს ფართი მთლიანად საბავშვო ლიტერატურის სექტორს დაეთმოზოდა და მისი გახსნის ცერემონიალი საბჭოს 10 წლის იუბილეს პირველი ღონისძიება იქნებოდა.

ყოველივე ეს, ჩემდა საბედნიეროდ, მაშინ ხდებოდა, როცა სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი მე გახლდით, თქვენი მონამორჩილი მანანა დუმბაძე. პატარა სასახლე, რომელიც ასე გულუხვად გაიღეს საკუთარი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის გასამდიდრებლად, ნამდვილ ბერძნულ სასახლეს რომ ეკადრება, ისეთ ედემის ბაღში იყო ჩაფლული. ეზო ტრადიციული როდოსული კენჭებით იყო მოზაიკასავით წრიულად მოკირწყლული. გასაკეთებელი და დასამატებელი იქ არაფერი იყო. თავი გაგვისკდა იმაზე ფიქრით, თუ როგორ უნდა შეგვედგა ამ ღვთის ნაბომებ კარმიდამოში ფეხი ისე, რომ ჩვენი იქ შესვლა სიმბოლურად ყოფილიყო და სამარადისოც, სადაც და „გენიალურიც“.

საქმე ისაა, რომ რაც უნდა განვითარებული ქვეყნიდან იყოს სტუმარი, ბერძნები მაინც ერთგვარი ექვის თვალთ მიყურებენ მის გემოვნებას და გადაწყვეტილებას. ჩვენი საბჭო ცხრა წევრისგან შედგებოდა: შვედი, დანიელი, რუსი, ბულგარელი, თურქი, გერმანელი, ფინელი და ქართველი. მასპინძლები ძალზე მოკრძალებით და ზრდილობიანად გვთხოვდნენ, თქვენ ნურაფერზე იზრუნებთ, საორგანიზაციო საკითხებს მთლიანად ჩვენს თავზე ვიღებთ, თუ მაინც და მაინც საჩუქრის გაკეთება გინდათ, ყველამ თქვენ-თქვენი ქვეყნიდან ლექსიკონები ჩაოიტანეთ სახსოვრად ბიბლიოთეკისთვისო. საბჭო, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დათანხმდა შემოთავაზებას, თუმცა ჩათვალა, რომ ეს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე თავმოყვარე ჯგუფისგან ერთობ მწირი შენატანი იქნებოდა. ჰოდა, ვიდრე საბჭო რაიმე განსაკუთრებით „გრანდიოზულს“ მოიფიქრებდა, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, როდოსელები ახალი „დამპყრობლებისგან“ გადამერჩინა. ხე დავრგოთ მეთქი წამოვიძახე.

ამ ბაღს ზეთისხილის ხის მეტი არაფერი აკლია -- მწერლების და მთარგმნელების ზეთისხილის ნერგი ჩვენი უკვდავყოფის ერთადერთი და ყველაზე ხელსაყრელი შანსია და არაა ხელიდან გასაშვები ეს მომენტი.

საბჭო ექვის თვალთ მიყურებდა, როდოსის ადმინისტრაცია - იმედის თვალთ, ეგებ დაუჯერონ და მხოლოდ ამით გადავრჩეთო. მერე დაგვპირდნენ, საუკეთესო ნერგს შეგირჩევთ, ბაფთიან ნიჩბებს მოგიტანთ, ორმოსაც ამოთხრილს დაგახვედრებთ და სულ „სირტაკის“ ჰანგების თანხლებით დაგარგმევინებთ მაგ ნერგსო. მოკლედ, ზეთისხილის ხის დარგვის იდეამ ორივე მხარე დააკმაყოფილა.

ცერემონიალის დღეს როდოსელები ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც დაგვპირდნენ. მეტიც, ნერგისთვის ამოთხრილი ორმოს გარშემო განათებაც გაიყვანეს. ხის დარგვის ცერემონიალის შემდეგ ყველამ ნერგის ძირში ჩვენ-ჩვენი ქვეყნებიდან ჩამოტანილი ლექსიკონები დავაწყვეთ და ჩვენს ენაზე თითო ლექსიც წარმოვთქვით.

ასე დაიბადა როდოსის ცენტრში, ყველაზე ლამაზი წითელი სასახლის ულამაზეს ეზოში სამი ზღვის ქვეყნების მწერლებისა და მთარგმნელების ხელიდან მსოფლიო კულტურული თანამეგობრობისა და სოლიდარობის სიმბოლო, ზეთისხილის ნერგი, რომელიც დღეს უკვე ხუთი წლის ტოტებგაშლილი, აყვავებული და ნაყოფით დამშვენებული ახალგაზრდა ხეა.

ყოველ წელს მივადგები ხოლმე და ვესაუბრები. ვეკითხები, რას შვები, როგორ ხარ, რამე ხომ არ გიჭირს მეთქი. პირველ წელს ცოტა სუსტი და ფერმკრთალი მომეჩვენა, როდოსელებმა და სხვებმაც დამამშვიდეს, გაიზრდება და მოღონიერდებაო. არც მეორე წელს მომეწონა, ისე ირხეოდა ყოველ დაბერვაზე, გული მისკდებოდა, არ გადატყდეს მეთქი. მერე სული მოითქვა და ისე შეისხა ფერ-ხორცი, აშკარა გახდა, რომ ქალიშვილი იყო, ნაზი, მშვენიერი ქალწული, მზით გარუჯული და კუნძულის მარადიული ნიავით თმაგაწეწილი.

ვზივარ მის წინ და გული სიამაყით მევსება. როგორ დასრულებულა ჩემი ზეთისხილის ქალბატონი. შეივსო მომწვანო, მოვერცხლისფერო ფოთლებით და აქა იქ პირველი ნაყოფიც მოუსხამს ჩემს გასახარად. მერქანიც უკვე ჩემი მაჯისსიმსხო აქვს და ისე ცხვირაწეული მიმზერს, ვერც კი ვეკითხები, როგორ ხართქო ... ყველაფერზე ეყტობა, რომ ძალიან, ძალიან კარგად გრძნობს თავს.

რაც შემეხება მე, მეც ძალიან კარგად ვარ, რადგან აღმოვაჩინე, რომ სულ ტყუილად მშურდა თურმე ჩემი თანამემამულეების, რომელთაც ზოგმა ხელისუფლების და ზოგმაც ეკლესიის დავალებით სულ ტყეები და ბაღნარები გააშენეს შინ და გარეთ. დიახ, სულ ტყუილად მშურდა, რადგან დღეს აქა ვარ, როდოსში და საკუთარი თვალით ვუმზერ ჩემი ჩანაფიქრისა და ქმედების ნაყოფს.

დიახ, აქ ძველი ელადის წმიდა მიწაზე იზრდება ჩემი ხელით დარგული, ნაფერები და იავნანა ნამღერი ზეთისხილის დედოფალი, უმშვენიერესი „დემეტრა“ (ასე დავარქვი მას), და ის დედით ქართველია, ამას ვერსად გაექცევა -- მანანას ასული!

წერილი 10

იულიუს კეისარი სულ ახალგაზრდა იყო მეკობრეებს ტყვედ რომ აუყვანიათ და დიდი გამოსასყიდიც მოუთხოვიათ. სანამ მომავალი კეისრის ჭირისუფალი მის დასახსნელად ფულს აგროვებდა, იულიუსს დრო არ დაუკარგავს და მეკობრეებზე თავისი დეკლამაციური ნიჭის გამოცდა დაუწყია. ახალგაზრდა რომაელის გამოსვლებით მონუსხული მეკობრეები თურმე აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ერთხელაც იულიუსს მათთვის განუცხადებია, მე დავბრუნდები და ყველას გაგანადგურებთო. სასაცილოდ არ ეყოთ მეკობრეებს ახალგაზრდა რომაელის „თავხედობა“ და აპატიეს. ამასობაში რომაელებმაც გამოსასყიდი მოაგროვეს და მომავალი კეისარი დაიხსნეს. მან კი დანაპირები პირნათლად შეასრულა: დაბრუნდა და ერთიანად ამოხოცა ის მეკობრეები.

ეს და კიდევ რამდენიმე მსგავსი „პიკანტური“ ისტორია მომიყვა ვასოს მინაიდიმ რომის ისტორიიდან. იგი როდოსის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოქალაქეა, ყველაზე დიდი ბანკებისა და ძვირფასი სასტუმროების ქსელების მფლობელი. ამის გარდა, ისე ზედმიწევნით იცნობს ანტიკურ პერიოდს, თითქოს იმ ეპოქაში უცხოვრია. დაბალი ტონით, თითქმის ჩურჩულით, მოჭუტული თვალებითა და მრავალმნიშვნელოვანი, ირონიული, მე ვიტყოდი, ეშმაკური, ბერძნული ღიმილით ყველა თანამედროვე ისტორიულ მოვლენას ძველი, ანტიკური ისტორიისა და ფილოსოფიის ჭრილიდან განიხილავს. ზუსტად ჭვრეტს და ითვლის როდის რა მოხდება უახლოეს და შორეულ მომავალში. როდესაც ერთ-ერთ მის შემამფოთებელ ჰიპოთეზაზე მე და პიტერ კურმანმა აღშფოთება გამოვხატეთ, პიტერმა კი შეკამათებაც სცადა - ასე არ მოხდებაო, ვასოსმა დამნდობი ღიმილით დაამშვიდა: შენ მაგაზე არ იდარდო, ამ დროს შენი ძვალიც არ იქნება ამ ქვეყნაზეო.

საინტერესო კიდევ ისაა, რომ ვასოსმა უდავოდ ყველაზე უკეთ იცის როდოსში ფული სად და როგორ კეთდება, თვალდახუჭული აგნებს ბიზნესის ყველა ღია და დახურულ კარს, ყველა ჭუჭრუტანას, არაჩვეულებრივად ერკვევა კლასიკურ და თანამედროვე მუსიკაში და მაინც, არაფერზე ისე თვითდაჯერებით არ ლაპარაკობს, როგორც ისტორიაზე. გამომცდელად გიდიმის მოჭუტილი თვალებით და ისმენს, ისმენს . . . და ისმენს იმისათვის, რომ გადამწყვეტ მომენტში ძველი, ან ახალი საბერძნეთისა და იტალიის ისტორიიდან ნაკლებად ცნობილი ან „გაუხმაურებელი“ ამბავი მიუსადაგოს სიტუაციას.

ვასოს მინაიდი ზედმიწევნით იცნობს საბერძნეთის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დეტალებსაც. ამაზე მაშინ დავფიქრდი, როცა სუფრასთან შვედ პიტერ კურმანს ბერძნულ-შვედური ურთიერთობების ისტორია გაახსენა, სეზერ დურუს -- ბერძნულ-თურქული, ჩვენს გერმანელ კოლეგას ბერძნულ-გერმანული და არც ქართულ-

ბერძნული, უფრო სწორედ კოლხური გამორჩენია მხედვრობიდან. თან ყველა მისი არგუმენტი, უნიკალური ინფორმაციითა და დოკუმენტური მასალით იყო გაჯერებული.

ვასოს ცოლი ლი მინაიდი, ამერიკაშია გაზრდილი და განათლებაც იქ აქვს მიღებული, ტიპიური ამერიკელი ქალია, თხელი, ათლეტური სხეულით და დახვეწილი მანერებით, სახე კი, უბრალოდ, ულამაზესი აქვს. იგი ამერიკულად აქტიურია და ვინაიდან მას და ვასოს შვილი არა ჰყვავთ, ლი მთლიანად საზოგადოებრივ მოღვაწეობაშია გადავარდნილი მსოფლიო მასშტაბით. ახლაც ზის სუფრასთან და რიტორიკულ კითხვას სვამს:

– კი მაგრამ, რატომ მაშინ არ გადაირია მსოფლიო, როცა რუანდაში ხოცავდნენ უბრალო მოქალაქეებს? იმიტომ რომ რუანდაში ნავთობი არ არის! – თავად უპასუხა თავის შეკითხვას.

ვასოს კი ელიმება თავისი მოჭუტული თვალებიდან და ... ახლა მივხვდი, ვის მაგონებს... ბიბლიურ მეფე ეკლეზიასტეს.

წერილი 11

რას გადავეკიდე ამ ბურჭულაძეს არ ვიცი, არაფერი დაუშავებია ჩემთვის, პირიქით ხანდახან, ტელევიზიით რომ გამოჩნდება ხოლმე, მელოტი, კონტურით გამოყვანილი ბლანჟეთი, ასე მგონია, კარგი იუმორი უნდა ჰქონდეს. ბოლომდე მისი არაფერი წამიკითხავს, „გასაბერი ანგელოზიც“ კი. რამდენი დავიწყე, იმდენი რაღაც უბედურ, ბინძურ ბილწისტყვაობას გადავაწყდი და დავრწმუნდი, რომ გინება ყველას არ უხდება. ამიტომ თვითგვემას თავი დავანებე, ბლიად!

ის თუ გახსოვთ, ტელევიზიით თბილისობაზე „თბილისი ლაივის“ წამყვანის ვიღაც შოუმენტან ლაივში „ზასაობა“ დედმამიშვილების სადღეგრძელოსავით ბოლომდე რომ შეგვასვეს? ახლა ისიც გაიხსენეთ: გენიალური იტალიური ფილმი „პარადისო“ და იმისი ფინალი -- ასზე მეტი კოცნა სხვადასხვა რაკურსითა და ვნებით. რა ესტეტიზმია, რა სილამაზე, ყურებით ვერ გაძლები, ამაზე მოულოდნელი და დიდებული იმ ფილმში არაფერია. კიდევ კარგი ქართული სექსი იმ „თბილისი ლაივის“ წამყვანზე რომ არ ჰკიდია, თორემ დემოგრაფიული კატასტროფა არ აგვცდებოდა ისედაც მცირერიცხოვან ქართველებს!

დავუბრუნდეთ ბურჭულაძეს. არა, ძალიან მიკერძოებული გამოვდივარ, მაგრამ ეს ერთიც და საერთოდ აღარ ვახსენებ მის სახელს. საქმე ისაა, რომ ისევ როდოსში ვარ და კაცი არა მყავს, რომ მისი სახელი შემახსენოს, თუმცა ენაზე მადგას -- ზურა, ზაზა, ზეზვა... მაგრამ ამ კაცს მე მგონი საერთოდ არ ჭირდება სახელი, ისედაც ყველა გვარით მოიხსენიებს და მიუხედევად ამისა, არავის არასოდეს ერევა პაატა ბურჭულაძეში, ისე

არც ირაკლი ბურჭულაძეში არევია ვინმეს (ირაკლი ჩემი უზნელი ძველი ბიჭია და თავის „კუტოკში“ საკმაოდ პატივცემული, თავისი საქმის პროფესიონალი). კიდევ ვიცნობ ერთ ბურჭულაძეს, არქიტექტორია, „ბურჭულას“ ეძახიან, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საქმრო, დღემდე უცოლოა.

მოკლედ, პაატა, რომ დიდი მომღერალია, ამაზე არ ვკამათობთ, ბურჭულა რომ სვეცკი ლომია -- არც ამაზე, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე არ ვიკამათებდი, ხოლო, რაც შეეხება ირაკლი ბურჭულაძეს, იმას სულ ფეხებზე ჰკიდია ვინ და რას იკამათებს მასზე, თუ ეს ქუჩის ელიტას არ ახება. აი მწერალი ბურჭულაძე კი, რატომღაც, სულ კამათის ობიექტია და იმასაც რატომღაც ხშირად უწევს ბოდიშის მოხდა საკუთარი საქციელის, გამონათქვამის თუ შემოქმედების გამო. მოკლედ, გამოდის, რომ, თავის სიტყვაზე და საქციელზე „ატყეჩაი არ არის“. მასაჟს აკეთებს თურმე მაგრა (თავისი პირით განაცხადა დიდი სცენიდან ქუთაისში, მწერალთა შეკრებაზე) და იქვე დასძინა ქურდი ვარო, მაგრამ ამის გამო რატომღაც არავინ იჭერს ... ბლიად!

წერილი12

მე და კრისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოადგილის კაბინეტში ერთი აბსურდული ვითარების გამო აღმოვჩნდით. აბსურდული, ვინაიდან საქმეს, რომელის გამოც იქ გავიჩითეთ, ინგლისურენოვანი შემსრულებელი სჭირდებოდა. კრისი გახლდათ, ჩემი ამერიკელი მეგობარი, რომელიც მე და ჩემს მეუღლეს მისისიპის ოქსფორდიდან გამოგვყვა და იმ ავადსახსენებელ 90-იანებში ჩვენთან „გამოიზამთრა“.

შუამავალი, ვინც უზენაეს სასამართლოში მიგვიყვანა, ჩემი მეგობარი იყო. მან მითხრა, შენგან მხოლოდ სიჩუმე და ინგლისური ენის ცოდნა გვინდაო (ამ ამბავს ახლა იმიტომ ვყვები, რომ ხანდაზმულობის ყველა ვადა გაუვიდა, თან არც კრიმინალურ ქმედებასთან აქვს რაიმე საერთო -- იმედია).

ბევრი კითხვა რომ არ უნდა დამესვა ამას მაშინ მივხვდი, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კაბინეტში ძალიან სერიოზული იერის რამდენიმე მდუმარე მამაკაცი დავინახე. ხოლო ის, რაც აუცილებლად უნდა მცოდნოდა (როგორც „ენას“), შემდეგში მდგომარეობდა: ერთი გავლენიანი მოქალაქის „თინეიჯერი“ ვაჟი ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟულ კოლეჯიდან გაიპარა და ჯორჯიის შტატში თავისი ქართველი ძმაცაცების მოსანახულებლად გაემგზავრა. აწრიალდა კოლეჯი, ეძებს და გაქცეულ ტატოს რომ ვერ მიაგნეს, თბილისში მშობლებს დაუკავშირდნენ, თქვენი შვილის ასავალ-დასავალს ხომ ვერ მიგვასწავლითო. ახლა მშობლები აწრიალდნენ, გადარეკ-გადმორეკეს და მიაგნეს შვილს, რომელიც კატეგორიულ უარს აცხადებდა კოლეჯში დაბრუნებაზე, თუმცა შტატებიდან უკან საქართველოში წამოსვლას არ ფიქრობდა.

მშობლებმა კოლეჯის ადმინისტრაციას შეატყობინეს - ბავშვი ცოცხალია, მაგრამ თავისი საქციელის გამო სცხვენია და სკოლაში შიშით ვეღარ ბრუნდებაო (ნამუსის მოწმენდის ნაცადი ქართული ხერხი). ამერიკელებმა შვებით ამოისუნთქეს და უკიდურესად ზრდილობიანად მოახსენეს მშობლებს, რომ პოლიცია ბავშვს აუცილებლად მოძებნის და მის სამშობლოში ექსტრადირების საქმესაც უმტკივნეულოდ მოაგვარებსო. კოლეჯის ხელმძღვანელობა ასევე შეპირდა ბავშვის მშობლებს, რომ ექსტრადირების პროცესი ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მოხდებოდა: ბავშვს თავად წაიყვანდნენ აეროპორტში, ჩააბარებდნენ სანდო პირებს და მშვიდად გამოუშვებდნენ სამშობლოში.

ხვდებით ალბათ, რომ ეს არაფრით აწყობდა ოჯახს, რომელმაც რა არ გააკეთა და რა არ გადაიხადა იმისთვის, რომ მათ ვარსკვლავიჭუნას ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კოლეჯში ესწავლა. მაშინათვე ამუშავდა ქართული მენტალიტეტი, შეიკრიბა მრჩეველთა საბჭო და გადაწყდა ქართულად შეეხვიათ ამერიკული მენეჯმენტის დიდოსტატი -- კოლეჯის დირექტორი. დახმარებისთვის კრისს მივმართე.

კრის, დაგვეხმარე, შენ ხომ ამერიკელი ხარ და უკეთ იცი, რა ენაზე უნდა ელაპარაკო ამერიკული სკოლის დირექტორს, სად შეიძლება ჰქონდეს მგრძნობიარე წერტილები უიმედოდ ვთხოვდი კრისს, რადგან შტატებში მუშაობის წელიწადნახევრიანი გამოცდილების შემდეგ, ასე თუ ისე, უკვე მეც ვიცნობდი ამერიკული ცხოვრების წესს.

_შანსი არ არის ამერიკელმა ამერიკელს უთხრას ის რაზეც თქვენ ლაპარაკობთ. დაივიწყეთ, კიდეც უფრო გააფუჭებთ საქმეს, ისევ ჯობია შენ დაელაპარაკო, ქართველი ხარ, სხვა კულტურა, უფრო გაგიგებს და რა იცი, ეგებ თქვენთვის მისაღები რამეც შემოგთავაზონ!_არანაკლებ უიმედოდ მიპასუხა კრისმა _ მე აქ ვიჯდები და გიდირიჟორებ, ძალიან რომ არ გაუბერო, _ დამპირდა.

მოკლედ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ღამის 12 საათზე უზენაეს სასამართლოს სანთლებით განათებულ (90-იანი წლების კრიზისის დროს შუქი არც უზენაეს სასამართლოს მიეწოდებოდა) ოთახში მე და კრისი „დაზარალებულის“ ჭირისუფალთან ერთად საქართველოს მომავალი თაობის განათლებისათვის საბრძოლველად ვემზადებოდით.

თავმჯდომარის მოადგილემ ჯიბიდან რამდენიმე ხუთლარიანი სატელეფონო ქვითარი ამოიღო და დარეკა. ყურმილი გადმომცა. მე ხელები გამეყინა. იქიდან, ანუ ოკეანის გაღმიდან, ამერიკული კოლეჯის ქალბატონი დირექტორი მელაპარაკებოდა. გრძლად ავუხსენი, რომ მათი ქართველი მოსწავლის, მამიდა ვარ (ვხვდები, რომ ეს და ცხოვრებაში ნათქვამი კიდეც სხვა მსგავსი უაზრო ტყუილი ჯერ კიდევ მოსანანიებელი მაქვს).

_სასიამოვნოა თქვენი მოსმენა, როგორ ბრძანდებით?_მკითხა ქალმა მეგობრული და მშვიდი ხმით.

_გმადლობთ, არა გვიშავს, თქვენ როგორ?

_შესანიშნავად?

_ჩვენ ისევ ტატოს თაობაზე გაწუხებით, ველაპარაკეთ ბავშვს და მინდა რამდენიმე დეტალზე გაგესაუბროთ?

_ძალიან სასიამოვნოა და სად არის ტატო?

ჯორჯიაშია, მაგრამ მისამართი არ ვიცით, ძალიან ეშინია. მთხოვა ამეხსნა თქვენთვის, რომ ძალიან ნაწილს თავის საქციელს და გთხოვთ შანსი მისცეთ, რათა სკოლაში დაბრუნდეს და დაგიმტკიცოთ, რომ ძალიან მონდომებულია ისე ამიხურდა ყურები და ლოყები ერთდროულად, რომ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს მოადგილემ ჭიქით წყალი მომაწოდა.

დიდი მადლობა ქალბატონო, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ოლქის და კერძოდ ამ კოლეჯის პოლიტიკა ვერ გაითვალისწინებს ტატოს თხოვნას, ახლა მთავარია, რომ იგი გამოცხადდეს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ იგი უსაფრთხოდ დაბრუნდეს სამშობლოში მიხსნიდა კოლეჯის დირექტორი. მე კრისს ვუყურებდი თვალებში, ის არ შეტოვებულა.

_ქალბატონო, საქმე იმაშია, რომ ტატოს ეშინია კოლეჯში დაბრუნება და ამიტომ არ გვეუბნება თავის ადგილსამყოფელს _ დავიწყე კარტების გახსნა_ ბავშვს ეშინია, რომ ჩადენილის გამო მშობლები დასჯიან. ამიტომ სახლში დაბრუნება კატეგორიულად არ უნდა. თუ თქვენ მას არ აპატიებთ და გამოსწორების შანსს არ მისცემთ, საერთოდ დაგვემალება_ ორივე მხრიდან სიჩუმე ჩამოვარდა.

_კი მაგრამ, რატომ ეშინია მშობლების? რატომ არ აუხსნით, რომ გესმით მისი, არაფერია ცუდი იმაში, რომ ჩვენს კოლეჯში ცხოვრებას და სწავლას ვერ შეეგუა, რომ მშობლებს იგი უყვართ და მოუთმენლად ელიან მის სახლში დაბრუნებას?

კრისი „ისტუკანივით“ იჯდა სავარძელში და მიუხედავად იმისა, რომ თვალებს ვუბრიალებდი, არაფერს მანიშნებდა, გაყინული მზერას არ მაცილებდა. მე კიდევ ვცადე გამებრძოლა. მართალი გითხრათ, აზარტშიც შევედი -- აბა ვინ ვის, ვის დარჩება ბოლო სიტყვათქო, ვფიქრობდი.

_სავსებით გეთანხმებით_დავიწყე თავიდან_ის, რასაც თქვენ გვთავაზობთ ბავშვის გადარჩენის საუკეთესო და ყველაზე მისაღები გზაა, მაგრამ საქმე ხომ ორდინარულ

შემთხვევასთან არა გვაქვს, ბავშვი ამ წუთას სასოწარკვეთილია, ხვდება, რომ უნებლიე შეცდომა დაუშვა, ამას მშობლები არასოდეს აპარტიებენ, არც ჩვენ გვენდობა. თქვენ ახლა მისი ერთადერთი იმედი ხართ და თუ დსახმარების ხელს არ გაუწვდით, იძულებული გახდება მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს, ეს კი შემდგომი შეცდომების კასკადს გამოიწვევს...(პაუზა)... ერთი თხოვნა მექნება თქვენთან...

_დიახ გისმენთ გულისყურით_გაისმა ოკეანის გაღმიდან.

_მე ვეცდები კიდევ ერთხელ დაველაპარაკო ტატოს და დავაჯერო, რომ დაბრუნდეს კოლეჯში. თქვენ კი გთხოვთ, რომ კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს გადაწყვეტილებას ტატოს კოლეჯიდან გარიცხვის თაობაზე და ეგებ დეპორტაციის ალტერნატიული, უფრო ჰუმანური გამოსავალი გამონახოთ... (პაუზა)... ეს ბავშვი ჯერ ჩამოუყალიბებელია, მისი მენტალიტეტი ახლა განიცდის ფორმირებას და რადიკალურმა ზომებმა შეიძლება დაუშვებელი ძვრები გამოიწვიოს მის მსოფლმხედველობაში. ჩვენ ახლა შეგვიძლია მისი სულის გადარჩენა და ნუ იტყვით ამაზე უარს. მე დაველაპარაკები და ვთხოვ, თქვენ მანამდე ნუ მიიღებთ რადიკალურ ზომებს. ეგებ როგორმე შეცვალოთ გადაწყვეტილება და ტატო კოლეჯში დააბრუნოთ?

_გმადლობთ, გპირდებით, რომ დაველოდები თქვენს ინფორმაციას და ისე მოვაწყობ ყველაფერს, როგორც ბავშვისთვის იქნება უკეთესი. თვენ სთხოვეთ ტატოს მშობლებს, დაელაპარაკონ თავიანთ ვაჟს და აგრძნობინონ, რომ უყვართ და მის გვერდით არიან. კარგად ბრძანდებოდეთ, დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის, მოუთმენლად ველი თქვენგან ახალ ამბებს!

ასეთი ოპერაცია ჩავატარე, სახელწოდებით „მამიდა“. რომელი მამიდა გააკეთებდა ამას ქართველი მამიდის გარდა? ან რომელ მამიდას ალაპარაკებდა ამერიკული კოლეჯის დირექტორი ამდენს ქართველი მამიდის გარდა?

სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტიდან ისე წამოვედით, კრისს სიტყვა არ დაუძრავს. უზენაესის ლამაზ კიბეზე რომ ვეშვებოდით, მესმოდა ტატოს მამის ბურტყუნი: „მადლობელი ვარ შვილო, ძალიან პატივინაცემი ვარ შენგან!“

დაზარალებულებმა დიდი მადლობა გადაგვიხადეს, ცალკე მანქანაში ჩაგვსვეს და სახლში გამოგვიშვეს. გზაში კრისს ხმა არ ამოუღია. ბნელ სადარბაზოში რომ შევედით, გაღიზიანებულმა შევუღრინე, ჰა, თქვი რისი თქმა გინდა მეთქი. კარი ჩემმა მეუღლემ გაგვიღო. სამზარეულოში სანთელი ენთო და სამივე იქ შევედით.

_რა გითხრა!?!_როგორც იქნა ამოდერდა ეს ორი სიტყვა კრისმა_გიჟები ხართ! შენ გგონია, რადგან მოთმინებით და კეთილგანწყობით გელაპარაკა ის ქალი, თქვენი თავგასული

დედიკოს შვილი დეპორტაციას გადაურჩება? მაგისი საქმე გადაწყვეტილია, შენ კი, მაგრა იომე და ღირსეულად წააგე! კმაყოფილი ხარ?

მართლაც რომ სხვა კულტურაა, თორემ ეს ბოლო ფრაზა რამ ათქმევინათქო ვიფიქრე და ძლივს შევიკავე თავი, რომ ეს მისთვის ხმამაღლა არ მიმეხალა. ადრე გაზაფხულზე კრისი სამშობლიში წავიდა, ჩვენ კი, კვლავ ჩაბნელებულები და გათოშილები დათბობას და გამონათებას ველოდით საქართველოში.

იმ საქმიდან რა გამოვიდა არ დავინტერესებულვარ. ეტყობა, მაინც დააბრუნეს ტატო საქართველოში, რადგან მას მერე იგი თბილისში ერთობ პოპულარული პიროვნება გახდა, მეტიც, ძალზე დაფასებული და პატივსაცემი არამარტო საქართველოს, არამედ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის და ნაწილობრივ მსოფლიოს „ავტორიტეტულ“ სამყაროში.

ამბობენ, საქართველოს პრეზიდენტს დღესაც განსაკუთრებული „გრძნობები“ ამოძრავებს მის მიმართ, რადგან სიყმაწვილეში, ერთ-ერთ ბარში თურმე ამ უკანასკნელს ჯერ პანდური ამოურტყია მისთვის და მერე საერთოდ გაუგდია სუფრიდან. პრეზიდენტმა რა თქმა უნდა დაუმახსოვრა ტატოს ძველი წყენანი და ახლა, როგორც კი დაიხელთებს ხოლმე, ყველა, დიდი თუ პატარა დარღვევისათვის, ერთნაირად „ახეხიებს“ საქართველოს მოდერნიზებულ ციხეებს. პრეზიდენტი რომ პრეზიდენტი არ გამხდარიყო, ვინ იცის, ეგებ შერჩენოდა კიდევ ჩვენს ტატოს ეს „საბედისწერო“ ცუდლუტობა, მაგრამ ასე დატრიალდა ცხოვრების ჩარხი და რას იზამს, დრონი მეფობენო - ხომ გაგიგიათ!

ჰოდა, წარმოიდგინეთ ახლა, მაშინ, იმ ავადსახსენებელ 90-იანებში, ეს თინეიჯერი ტატო ამერიკული კოლეჯიდან რომ არ გაქცეულიყო და „ხუთოსანი“ ბიჭივით მოქცეულიყო, ხომ შეიძლება თავისი პოტენციითა და დიაპაზონით ჩვენი პრეზიდენტი მაშინ როგორ წავიდოდა ჩვენი საქმე? ... ფუი ეშმაკს, ეს რამ მაფიქრებინა, არადა ეს ოხერი ტვინი თავისთვის მიერეკება და რას არ წარმოიდგენს... უი, უი... აბსურდის თეატრია, აბა, რა!

წერილი 13

გამოცდების შემდეგ ეგრევე გულრიფში გავქანდი. ჩემი ოჯახი უკვე მაისიდან იქ იყო და ისე მშურდა მათი, ერთი დღეც არ დამიკარგავს მოსამზადებლად ან ჩასალაგებლად, თუმცა რის ჩასალაგებლად, გულრიფში ტანსაცმელი ხომ საერთოდ არ იყო საჭირო -- თითოთოროლა რაღაც მისაფარებელ-მოსაფარებელად. ჰოდა, დილის რეისით გაფრენილი დილითვე იქ ვიყავი. ღემე მთვარის ბილიკზე ვიცურავე და ტკბილად, ძალიან ტკბილად დავიძინე.

დილით პირდაპირ ლოგინიდან, თვალდახუჭული გავედი თეთრი ქვებით მოკირწყლული ეზოს ბილიკით სანაპიროსკენ. ეზოში ლაპარაკის ხმა მომესმა, მამაჩემი და ვიღაც ორი უცნობი რუსულად საუბრობდნენ „ბესეცკაში“. ისინი მუხის დიდი კუნძისაგან გამოთლილი მაგიდის გარშემო ჯორკოებზე ისხდნენ. მე მომერიდა ასე ნამძინარევი და პირდაუბანელი რომ გამოვედი სახლიდან და გვერდზე გაუხედავად გავიქეცი ნაპირისაკენ.

უკან გამოფხიზლებული, სველი და გამხიარულებული დავბრუნდი. ის ორი უცნობი ისევ იქ იჯდა მამასთან ერთად. ძალიან მხიარულები ჩანდნენ. ახლოს მივედი და მივესალმე. იმან, რომელიც უფრო ჰგავდა რუსს -- თეთრი-თეთრი, მაღალი-მაღალი, მსხვილძვალა, სპორტული აღნაგობის და ცისფერთვალა, მითხრა, სადა ხარ, ერთი თვეა გელოდებით, ამდენი სწავლით თვალეbs გაიფუჭებ და თავი გეტკინებაო. ეს იყო ვასია ჟდანოვი, ჩემი მეგობარი კატია სიმონოვას მეუღლე და რუსი კლასიკოსის, კონსტანტინე სიმონოვის სიძე. მეორე უფრო ჩვენიანს ჰგავდა, ძალიან გარუჯული, დაბალი, შეკრული, ბოქსიორივით მიჭყლეტილი, ოდნავ კეხიანი ცხვირით და ძალიან თაფლისფერი ციმციმა თვალებით. ის რაღაცას ჰყვებოდა, არ ვიცი რას, რადგან თხრობის პროცესში შევესწარი და მამაჩემი სიცილისგან კინაღამ გადაბჟირდა. ეს იყო აფხაზეთის კლასიკოსის დიმიტრი გულიას შვილიშვილი დიმკა გულია. ვასია და დიმკა მოსკოვიდან მეგობრობდნენ. ვასია სამხედრო აკადემიაში სწავლობდა, დიმკა - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვასიამ გულრიფშში მერქანოვებთან სტუმრობის დროს გაიცნო კატია სიმონოვა და იმავე წელს ცოლად მოიყვანა. დიმკა მათი მეჯვარე იყო.

ეს ორი ადამიანი გარეგნულად თუ ხასიათით სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან -- იუმორიც დიამეტრულად განსხვავებული ჰქონდათ. პირველს სალდათური და უხეში, მეორეს, დახვეწილი და ინტელექტუალური, ეთნო-ელემენტებით გაზავებული და ძალიან დროული. ვასია გაუთავებლად ყვებოდა ხოლმე მოსკოვურ და გარნიზონულ ისტორიებს, იცოდა უამრავი ანეკდოტი. იმდენი, რომ სულ მეშინოდა, ხვალ მოსაყოლი ადარაფერი დარჩება მეთქი. მეორე დრეს კი, მოხსნიდა ისევ გუდას თავს და წავიდა... ახალ-ახალი ისტორიები.

დიმა არაჩვეულებრივად ბაძავდა ყველას: ახლობლებსაც და შორეულებსაც, საზოგადო მოღვაწეებსა და ხელოვნების კორიფეებს, ლოთ გენერლებსა და ბომჟებს. ყველაზე კარგად ვასიაზე და საკუთარ თავზე ღადაობდა. მის პაროდias ვერავინ გადავურჩით. ვასია დიმას იმპროვიზაციებს ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით, თავადაც აჰყვებოდა ხოლმე და მერე ყველანი ერთად ისტერიკაში ვვარდებოდით. სიცილისგან ხანდახან თავიც მტკიოდა.

დიმკა პირველივე დღეს შემეყვარდა. მამაჩემი, რომელსაც ახალგაზრდები, როგორც თავს ისე ეტმასნებოდნენ, საოცრად თავისუფლად და მყუდროდ გრძნობდა თავს მათთან. საათობით საუბრობდნენ, ერთად ცურავდნენ, ერთად ბანაობდნენ დიდი ტალღებში და სვამდნენ არაყს. ზღვის სეზონი ჯერ დაწყებული არ იყო, ამ დროს გულრიფში სულ რამდენიმე დამსვენებელი ოჯახი ჩამოდიოდა რუსეთიდან და მამაჩემიც დიდი სიამოვნებით ფლანგავდა თავის „ძვირფას“ შემოქმედებით დროს ამ ორ ბიჭთან. ამის შემყურე დედაჩემი ლამის ცოცხით დასდევდა ვასიას და დიმკას ეზოდან გასაყრელად, თუმცა, ეს ისე, „ხუმრობით“, თორემ თავადაც ძალიან უყვარდა ორივე.

დიმკას იუმორი ჩემთვის ნაკლებად გასაგები იყო, რადგან ძალიან პატარა ვიყავი და მოსკოვური ჩამოსხმის სპეციფიკურ, ებრაულ-ინტელექტუალურ იუმორს მძაფრი პოლიტიკური არომატით ჯერ კიდევ ვერ აღვიქვამდი. დიმკა ამ იუმორში რაღაც დისიდენტურ ცინიზმსაც ურევდა და თავისი მახვილგონიერებით იპყრობდა ხოლმე მთელ აუდიტორიას. მის გამოჩენას დილიდან ველოდი ხოლმე და ძალამოსავით ჩამესმოდა ყურში დედაჩემის „აჰა, ბედოვლათებიც გამოჩნდნენ!“

ერთხელ დედაჩემი სამი დღით თბილისში წავიდა. ჩვენს ეზოში უმაღლეს მომრავლდა გულრიფის ადგილობრივი და ჩამოსული „ბომჟობა“. ატყდა თავაშვებული სმა და ქეიფი. სამი დღის შემდეგ დედაჩემი საღამოს რეისით დაბრუნდა გულრიფში. სწორედ ამ დროს ეზოში მამაჩემი, ვასია და დიმკა ლუდს ურტყამდნენ და ზედ ვობლას აყობდნენ. მანქანის ხმა რომ მოესმათ, ვასიამ სიმონოვების ეზოში მოჰკურცხლა, დიმკა კი წინა ჭიშკრისკენ გავარდა და როცა მიხვდა, რომ იქიდან გაქცევას ვერ მოასწრებდა, ჭიშკართან მდგომ დიდ პალმაზე აძვრა.

დედაჩემიეზოში შემოვიდა. არეულობა რომ დანახა, ეზოს ბილიკზე დაყარა ჩანთები, პალმაზე მიყუდებული ეზოს ცოცხი აიღო, ნაგავი მოხვეტა, იქვე, პალმის ქვეშ მოაქუჩა და ცეცხლი წაუკიდა, მერე ჩანთები აიღო და სახლში შევიდა. პალმაზე ამ დროს ვინ იჯდა? -- საცოდავმა დიმკამ ყლაპა და ყლაპა ნაგვის კვამლი, სანამ დედაჩემი სახლში შევიდოდა, მერე ცეცხლის ენებიც რომ მიწვდნენ, კეთილი ინება და დედაჩემის გაჩაღებულ კოცონში თავით გადაეშვა.

ვასიამ ეს ამბავი თავისებურად შეალამაზა (თუმცა რაღა შელამაზება უნდოდა), გააფორმა და მთელ გულრიფშს მოსდო, მერე მოსკოვშიც ყვებოდა. მოკლედ, მომენტს არ უშვებდა ხელიდან. ეს ამბავი წლების განმავლობაში გულრიფშის კურიოზების „ტოპ ხუთეულში“ შედიოდა. დედაჩემის ყურამდე კი, რატომღაც ძალიან გვიან მიაღწია და იმანაც ძალიან ბევრი იცინა.

დიმა ჩვენი სახლის წინ ცურავდა ხოლმე, რადგან მათი სახლის წინ ტიპური საბჭოთა „დომ ოტდიხის“, აგუძერას პლიაჟი იყო და ფეხის დასადგმელი ადგილი არ

მოიძებნებოდა. ერთხანს იჯდა ხოლმე ნაპირზე, თითქოს ზღვას ელაპარაკებო, მერე წამოდგებოდა და სირბილით შედგაფუნდებოდა წყალში. რა სტილით ცურავდა ვერ გეტყვით, ყველა თევზის სტილით, უფრო სწორად -- უსტილოდ. ნებისმიერი სიდიდის ტალღებში შედიოდა. ჩაყვინთავდა და გაურკვეველი დროის შემდეგ ძალიან შორს ამოყვინთავდა მშვიდი, დასვენებული. საერთოდ ვერ მიხვდებოდი, ცურავდა თუ იქ ცხოვრობდა. ვეშაპივით მძიმედ ევლებოდა ტალღებს და მე ამის მაყურებელს გული მიჩერდებოდა. მეგონა, მთელი ცხოვრება არ მომზეზრდებოდა ამის ყურება.

გულიების სახლი ჩვენგან ახლოს, პატარა ღელეს გადაღმა იდგა, მუშათა სასადილოს და „აგუმერას“ საზღვარზე. კვიპაროსებით გარშემორტყმულ ეზოში სახლის მხოლოდ სახურავიდა მის გვერდით ნამდვილი აფხაზური ფაცხა მოჩანდა. ამ ფაცხიდან მუდამ კვამლი და საოცარი სურნელი გამოდიოდა. ამბობდნენ დიშკას მეგრელი ბებია საოცარ შებოლილს და აჯიკას აკემთებდაო. აგუმერის სასადილოში რომ დავდიოდი საყიდლებზე, დიშკას „იდუმალ“ ეზოში ვაპარებდი ხოლმე თვალს, ეგებ თვალი მოვკრა და შევიდემეთქი, მაგრამ არ მიმართლებდა, ეზოში არასდროს არავინ დადიოდა, მარტო კვამლი ამოდიოდა ფაცხიდან.

თვითონ დიშკა საათობით იჯდა ჩვენს ეზოში და საუბრობდა მამასთან. ზოგჯერ სადილადაც რჩებოდა და მაშინ ხომ ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ვერავინ ხვდებოდა ჩემს გასაჭირს, რატომღაც ყველას ძალიან პატარა ვეგონე, დიშკასაც. სერიოზულად არ აღმიქვამდა, მე კი თურმე პირველი სიყვარული მეწვია და აზრზე არ ვიყავი რა მექნა ამ სიყვარულისთვის. ჩემთვის რომ გეკითხათ, სულ შეყვარებული ვიყავი, განსაკუთრებით ცალმხრივი სიყვარული მხიბლავდა -- შორით კვდომა და შორით დაგვა -- ახლა კი რაღაც სხვა შემეყარა: თბილი, ცხელი და ცივი ერთდროულად. უშნო ბიჭები არასდროს მომწონდა და ეს დიშკა ნამდვილი „მახინჯი“ იყო. მერე ვიღაც გამოცდილმა რუსმა ქალმა თქვა მასზე, კეისარს ჰგავსო და მეც მივხვდი რატომ მიზიდავდა ასე -- კეისარი რაღაც უცხო და განსხვავებული იყო.

შტორმის დროს წყალში ჯგუფ-ჯგუფად ხელჩაკიდებულები შევდიოდით ტალღებზე საბტუნაოდ. იმ დღესაც თორმეტამდე კაცი აღელვებულ ზღვაში ვიყავით შესულები, წივილ-კივილით ვიკლებდით იქაურობას და მთელი წლის სამყოფ ადრენალინს გამოვყოფდით ორგანიზმიდან. დიშკა ნაპირიდან გვიყურებდა და ზღვაში არ შემოდიოდა. ამ დროს ეზოდან მთვრალი ირაკლი დუმბაძე გამობანცალდა და მარტო შეაჭრა ტალღებში. ირაკლი ყოფილი წყალბურთელი იყო და ისე ცურავდა, მის უსაფრთხოებაზე არც კი გაგვიფიქრია. წყლიდან გამოსვლის დროს მას რამდენიმე დიდი ტალღა წამოეწია. ირაკლიმ ყველაზე დიდ ტალღაში შეყვინთა. როცა ამოყვინთა, უკვე ძალიან ღრმად იყო. უკან კიდევ ერთი დიდი ტალღა მოდიოდა, იმასაც შეუყვინთა, ტალღამ კიდევ უფრო ღრმად შეითრია, მაღალი ტალღების მთელი სერია წამოვიდა,

ირაკლი ყვინთავდა და თან წყალს ყლაპავდა, იღლებოდა, ჩვენ ხელჩაკიდებულები ვიდექით ნაპირზე და ველოდით, ველოდით, რომ ირაკლი თავისით გამოვიდოდა, ველოდით... უცებ უკნიდან დიშკას ყვირილი მოგვესმა, დაიხრჩობაო და პირდაპირ ჯინსებით შევარდა ტალღის ქვეშ. ზუსტად იქ ამოჰყო თავი, სადაც ირაკლი უკვე ხელსაც აღარ ანძრევდა, მინდობილი იყო ტალღებს და ტივტივებდა. დიშკამ მკლავებში მოიგდო ირაკლი და ვერ გეტყვით როგორ, მაგრამ როგორღაც გამოათრია. ნაპირთან ირაკლი ფეხზე დადგა, კიდევ ერთხელ გადაახტა წამოწეულ ტალღას და წყლიდან დიშკასთან ერთად გამოვიდა.

ირაკლიმ ხელი ჩამოართვა დიშკას, მაგარი ხარო უთხრა და ქვებზე წამოწვა. ისეთი მთვრალი იყო, მგონი ვერც კი მიხვდა რას გადაურჩა. დიშკამ ჯინსები გაიხადა, გაწურა, თავიდან ამოიცვა და ასე სველი წალასლასდა სახლისკენ. მე მის ზურგს ვუყურებდი და ვგრძნობდი, როგორ ეზიზღებოდა ეს სისველე. არ უნდოდა ზღვაში შესვლა და იძულებული კი გახდა, რადგან ხვდებოდა რომ იმ მთვრალი კაცის ამომყვანი იქიდან სხვა არავინ იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, აფხაზეთთან ომიც გადავიტანეთ, აფხაზეთიც დავკარგეთ და რატომღაც დღესაც ათასში ერთხელ ვხედავ ხოლმე სახლისკენ მიმავალი სველი დიშკას ზურგს. უკვე მაშინ ვიცოდი, რომ არასდროს შემოტრიალდებოდა სახით ჩემსკენ.

მერე დიდი სიყვარული მეწვია და გავთხოვდი. ჯემო რომ გარდაიცვალა, იმ წელს, ვასია და კატია თავიანთ სამი წლის ქალიშვილთან ერთად გულრიფში ისვენებდნენ. ჩემი ნოდარიკო ორი წლის იყო. აფხაზეთთან ურთიერთობა ძალიან დაიძაბა, თუმცა გულრიფშელები ვცდილობდით არ შეგვემჩნია, მთავრობაც ხომ ისე იქცეოდა, თითქოს ფეხებზე ეკიდა ეს ამბავი. ძიმას დედა, დიმიტრი გულიას ქალიშვილი ტატიანა დიმიტრიევნა ცნობილი იყო თავისი რადიკალიზმით, ვაჟი გიორგი/ჟორა გულია --- რუსოფილობით. დიმა, ერთი მოსკოველი ბიჭი იყო და ყველაფერ ამაზე მოსკოვერი ცინიზმით ღადაობდა. აფხაზებს ეს არ მოსწონდათ, რადგან სწორედ მას მიიჩნევდნენ დიმიტრი გულიას ღირსეულ მემკვიდრედ და აფხაზეთის პრინცად. დიმას უნდოდა-არ უნდოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დააწვა მხრებზე და პირველი რაც გააკეთა ერთი ლამაზი აფხაზი გოგონა შეირთო ცოლად. მერე აფხაზი ვაჟი გაუჩინა სამშობლოს და ამით რაღაც დოზით შეასრულა თავისი ვალის ნაწილი მიმდინარე პოლიტიკაში. ეს გოგო ერთხანს გულრიფში კონსტანტინე სიმონოვის სახლმუზეუმს (აგარაკს) დირექტორობდა, როგორც ოჯახის ახლობელი. მე ვხედავდი მას და მიხაროდა, რომ ჩემს კეისარს სწორედ ის ერგო ცხოვრებაში, რასაც იმსახურებდა.

ვინაიდან მამაჩემი ავადმყოფობის გამო გულრიფშში ვედარ ჩამოდიოდა, დიმა იშვიათად შემოირბენდა ხოლმე ჩემთან მამას ამბის გასაგებად. ძალიან წუხდა მისი ჯანმრთელობის გამო და სულ მოკითხვებს მაბარებდა. მე უკვე ვგრძნობდი, როგორ იზრდებოდა არაბუნებრივად დისტანცია ჩვენს შორის, ჰო, არაბუნებრივად, არა ორ ადამიანს შორის, არამედ ხელოვნურად -- ორ პოლიტიკას შორის. დიმა ირონიით „ხუმრობდა“ ჩვენს მეგრულ მეზობლებზე და საერთო ნაცნობებზე. მე ამ იუმორს და ცინიზმს მაშინ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი და ისევ აღფრთოვანებით ვიცინოდი მის გამოხდომებზე. მერე უცებ აშკარა გახდა, რომ საქმე უფრო სერეიოზულადაა, დიმას იუმორისა და სარკაზმის თემამ საერთო საბჭოურიდან რაღაც უფრო ახლობელი და მტკივნეულისკენ გადმოიხარა.

ერთხელ, სიმონოვების ეზოში ჩაის ვსვამდით. ძიმა მეუღლეს ელოდებოდა. ხმამაღლა ვიცინოდით, ძველ დროს ვიხსენებდით, მამაჩემთან დაკავშირებულ რაღაც ამბავს. უცებ, მომიტრიალდა და ვითომც აქ არაფერიაო, წაიჩურჩულა: მამაშენი შენ თავს აფხაზ ბიჭს მაინც არ გაატანდაო. ეს ისე ჩუმად თქვა, სხვებმა კი არა, მე ძლივს გავიგე. იმ წუთას საოცრად გავთბი, მერე დამცხა, მერე შემცივდა და მერე ვითომ არაფერი გამიგია, ისე გამოვიყრუე თავი. ისიც ზუსტად ეგრე მოიქცა, თითქოს არაფერი უთქვამსო. მერე ისევ რაღაცის მოყოლა დაიწყო. ვასია და კატია აყვნენ, ისევ ვიცინოდით ხმამაღლა და საერთოდ არ ვფიქრობდით ქართულ-რუსულ-აფხაზურ წინააღმდეგობებზე. მერე მოვიდა ის ლამაზი ქალი, დიმიტრი გულიას მეუღლე და ისინი ერთად წავიდნენ სოხუმში.

ამის მერე დიმა აღარ მინახავს. მამა 1984-ში გარდაიცვალა. კიდეც რამდენიმე წელი ვიარე გულრიფშში. სიმონოვები აღარ ჩამოდიოდნენ. გულიებიც არ ჩანდნენ. აფხაზები უფრო და უფრო გვიღრენდნენ და ქართულად საერთოდ აღარ გველაპარაკებოდნენ. ბოლოს სახლის ჭიმკარი შევღებეთ, ბოქლომი დავადეთ, პირჯვარი გადავწერეთ სახლს და წამოვედით. ამის მერე გულრიფშში აღარ (ვედარ) ცყოფილვარ. სიზმარშიც კი იშვიათად ვხედავ. ასევე ათასში ერთხელ ვხედავ ხოლმე პლიაჟზე, ნაცრისფერ ქვებზე სახლისკენ მიმავალი, გაწუწული დიმას ზურგს და ზუსტად ვიცი, რომ იგი აღარასოდეს შემოტრიალდება ჩემსკენ სახით.

წერილი 14

ჰამბურგერები

ამ სიტყვის ხსენების დროს დარწმუნებული ვარ, ყველას თვალწინ გერმანული წარმოშობის ამერიკული კატლეტი და პური წარმოგიდგებათ და არც არის გასაკვირი.

მეც ასე დამემართა, როდესაც როდოსში ჩამოსვლისთანავე იანინა ორლოვამ მითხრა, ჰამბურგერები სასადილოშიაო. გამიკვირდა, რა შემატყო ასეთი, რომ როდოსში, კულინარიისა და გურმანთა სამოთხეში მაინც და მაინც ჰამბურგერს მივეძალებოდი? ამიტომ, ვიდრე დავბინავდებოდი, ცალი თვალთ მაინც შევიჭყიტე სასადილოში. პატარა ულამაზესად გაწყობილ ოთხკუთხედ მაგიდას ორი მამაკაცი და ქალი შემოსხდომოდნენ. ამ კაცებიდან ერთი ჩემი მეგობარი იყო, გერმანელი მწერალი, პოეტი და დეკლამატორი უვე ფრიხელი, მეორეს, ძალზე იმპოზანტური გარეგნობის მამაკაცს და მათ კოლეგა ქალბატონს არ ვიცნობდი. ქალი შავგვრემანი იყო, დაბალი, სავსე, მაგრამ ერთობ ეგზოტიკური ამ ორი გერმანელის ფონზე. სუფრის ცენტრში მინდვრის ყვავილებიანი პატარა ლარნაკი იდგა. ქათქათა თეთრ თევზებზე ბერძნული სალათი, ძეხვეულის და ყველეულის ასორტი ეწყო და თითოეულს, ასეთივე თეთრ ჯამებში, ბოსტნეულის წვნიანი ესხა. სუფრის კუთხეში ნახევრად სავსე წითელი ღვინის ბოთლი იდგა. ასეთ სუფრაზე ჰამბურგერის ადგილი ნამდვილად არ იყო.

წივილ-კივილით ჩავეხუტე ათი წლის უნახავ უვეს. „ხვევნა-კოცნას“ რომ მოვრჩით, უვემ მეგობრები გამაცნო ჯიწი -- გერმანელი პოეტი და დეკლამატორი და მედინა -- ბოსნიელი პოეტი, მომღერალი და მხატვარი. სამივე ერთად კი, ჰამბურგის მწერალთა ასოციაციას წარმოადგენდა -- შესაბამისად, „ჰამბურგერებიც“ ისინი იყვნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდოსის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ცენტრს, ბიბლიოთეკის, მინი სტამბისა და გამომცემლობის გარდა პატარა, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სამზარეულოც ჰქონდა, რომელშიც იქ ბინადარი მწერლები და მთარგმნელები თავად იმზადებენ საუზმეს და სურვილისამებრ -- სადილსა და ვახშამსაც. მედინა სამზარეულოში ისე ტრიალებდა, როგორც საკუთარ სახლში. ზეპირად იცოდა ყველა სახის ჭურჭლის ადგილსამყოფელი, გავსებული ჰქონდა მაცივარი ნედლი და ნახევრადფაბრიკატი სანოვავით. იგი საქმის ზედმიწევნითი ცოდნით ქმნიდა როდოსის ლიტერატურული ცენტრის სამზარეულოში კულინარიის და დიზაინის შედეგებს და თეთრი თევზებითა და ტანის ნარნარი რხევით მიჰქონდა სასადილოში, სადაც ნირვანაში წასული, თუმცა, მაინც პირზე ნერწყვმომდგარი ნეტარი ორი პოეტი ელოდა. ორივეს ლურჯ-თეთრი კუბოვრული ხელსახოცი ეფარა კალთაზე. „აუ, რას გრიალებენ ბიჭები?“ - გავიფიქრე და გულწრფელად ვინანე იმ წუთას კაცი რომ არ ვიყავი.

გამახსენდა, ერთხელ უვეს ვსტუმრობდი სტოკჰოლმში. მაშინ შვედი მეგობარი ქალი ჰყავდა და მასთან ცხოვრობდა. ქალი ძალიან სტუმართმოყვარე იყო. არაფერი დაინანა, ყველა სასმელი გამოგვიტანა, ხოლო რაც შეეხება საჭმელს და სასუსნავს, ამაზე უკვე უვე ზრუნავდა, დარბოდა სამზარეულოსა და სასტუმროს შორის და ხან რა შემოჰქონდა და ხან რა, თან ამაყად აღნიშნავდა რა აქტიური, საქმიანი და წარმატებული დიასახლისი

ჰყავდა. ასეც იყო. ის ქალი გარეთ ძალიან იღლებოდა და ამიტომ მთელი საშინაო საქმე უვეს გადაულოცა. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ ძალიან მოგვეწონა ყველას, უფრო კი ის მომეწონა, როგორი შეხმატკბილებულები იყვნენ, რა მშვიდად და რაციონალურად ინაწილებდნენ საერთო საქმეს. როგორ ტკბებოდნენ ჰარმონიით. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ამ ტანდემმა დიდხანს ვერ იარსება და ახლა....

ზის უვე, ფეხი ფეხზე გადადებული, თითს თითზე არ აკარებს და ბოლომდე ტკბება ბოსნიელი ქალის აღმოსავლური მომსახურებით, თავი ისე უჭირავს, თითქოს ცხოვრებაში ჭიქა არ გადაუგვამს ერთი ადგილიდან მეორეზე, არადა, ცენტრის სამზარეულოში, ონკანის თავზე მსხვილი ასოებით წერია: „გთხოვთ, ყველამ თქვენი ჭურჭელი გარეცხეთ!“

არაფერ კავშირშია ამასთან, მაგრამ ამ წარწერაზე ყოველთვის მახსენდება ინგლისში, ტურისტული ავტობუსის სავარძლებზე მიმაგრებული მსხვილი წარწერა: „როცა იატაკი სიგარეტის ნამწვავებით აივსება, გთხოვთ, ისარგებლეთ საფეფრლით!“

სესიებზე, „ჰამბურგერებიდან“, უფრო უვე და ჯინო აქტიურობდნენ. მედინამ ინგლისური არ იცოდა და ძალიან იშვიათად აკეთებდა კომენტარებს გერმანულად. ერთხელ სასაცილო ფაქტი მოხდა. მედინამ ერთ საკითხზე საკმაოდ გრძელი კომენტარი გააკეთა გერმანულად და უვეს სთხოვა ეთარგმნა. უვემ მოუსმინა და თქვა მე ამას რადიკალურად არ ვეთანხმებიო, რაზეც სესიის ნორვეგიელმა მონაწილემ მიუთითა, ჯერ ის თარგმნეთ რაც ქალბატონმა თქვა და მერე მოგვახსენეთ რას არ ეთანხმებით რადიკალურადო.

ჯინო სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ შესანიშნავი ორატორი, ნარცისივით მანერული, დამწყები პოეტებისთვის რიტორიკის კურსს კითხულობდა. ერთ-ერთი ასეთი პროექტი მომავალი წლის გენერალური ასამბლეისთვის შემოგვთავაზა.

სადილის დრო რომ მოვიდა, გადავწყვიტეთ, ყველანი ერთად წავსულიყავით რომელიმე ახლომდებარე რესტორანში. „ჰამბურგერებმა“ მოგვიბოდიშეს - ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ, რადგან სადილს მედინა გვიმზადებსო. რესტორნიდან მოგვიანებით დავბრუნდით. ეზოდან ტკბილი აღმოსავლური ჰანგები მოდიოდა. ეს მედინა უმღეროდა ბოსნიურ ხალხურ სასიყვარულო სიმღერას უვესა და ჯინოს, იმათ კი თვალეხი მიენახათ, სავარძლებზე მიწოლილიყვნენ და წითელ ღვინოს წრუპავდნენ. მაგიდაზე ყვითელი სანთელი ბჟუტავდა. „ყოჩაღ ბიჭებო - უნებლიედ შევძახე ალტაცებისგან, ოღონდ ამჯერად ზუსტად ის ვიგულისხმე, რაც წამომცდა - რა სამოთხე მოგიწყვიათ ამ მართლაც ღვთაებრივ მიწაზე?!“

დილას მედინამ ისევ ასაუზმა თავისი გვრიტები. მერე ყველანი ერთად წავედით ავტობუსის შესახვედრად და „მონოლიტოსში“ გასამგზავრებლად - როდოსელი კლასიკოსის ნიკოს კაზდაგლისის პრიზის დაარსების ცერემონიას მისი მემორიალური ადგილების მონახულებით ვიწყებდით. ავტობუსი მზად იყო გასასვლელად როცა აღმოვაჩინეთ, რომ ჯინო გვაკლდა. დავუწყეთ ლოდინი, რომ აღარ გამოჩნდა, მედინა უკან გაბრუნდა ცენტრში და ისიც დაიკარგა. უკვე გვაგვიანდებოდა, ორგანიზატორები ანერვიულდნენ, უვე აჭარხლდა და ის იყო მძღოლს გასაღები უნდა გადაეტრიალებინა, რომ მედინას ხმა გაისმა, დაიცადეთო. იგი მორბოდა და ხელჩაკიდებული მოარბენინებდა ჯინოს, რომელმაც აღშფოთება ვერ დამალა, მე ავტობუსს ცენტრთან ველოდი და სულ არ ვიცოდი, აქ რომ უნდა ჩამოვსულიყავიო. მედინა გვერდით მოუჯდა, დაამშვიდა და ცოტა ხანში ჯინომ მის მხარზე ტკბილად ჩაიძინა .

მონოლიტოსში, საჯარო ბიბლიოთეკაში ნიკოს კაზდაგლისის ნაწარმოებების ინგლისური თარმანებიდან ნაწყვეტები წავიკითხეთ, მერე კაზდაგლისის მეგობარმა დოროთე სიზიმატოსმა თავის აგარაკზე მიგვიწვია, სადაც ის და ნიკოსი სათევზაოდ ჩადიოდნენ. ეს იყო ტიპური ბერძნული აგარაკი. შეთეთრებული, ლურჯი ფანჯრებითა და ხის აივნებით. სხვა სახლებისაგან განსხვავებით, ეს სახლი სოფლის განაპირას იდგა და მის წინ უზარმაზარი ველი, ტყიანი ფერდობები და უფრო მოშორებით ეგეოსის ზღვის ლურჯი სანაპირო იშლებოდა. არც ერთი შენობა, არც ერთი ბოძი, ცივილიზაციის ნიშანწყალი არ ჩანდა, კრაზანების ბზუილის გარდა სხვა არაფერი ისმოდა პატარა თეთრი სახლის გარშემო, მხოლოდ ჩვენ დავბოდიშალობდით უცხო სხეულებით ამ გაშლილ ფერადვან ტილოზე. კი დავბორიალოდით, მაგრამ იმდენად პაწაწინები ვჩანდით, რომ დიდი ვერაფერი კვალი დავტოვეთ გარემოს იმ საოცარ სრულყოფილებასა და ჰარმონიაზე.

”მონოლიტოსი“ სოფელს მონოლითი ქვისგან წარმოქმნილი ტყიანი მთის აღსანიშნავად შეარქვეს. მთის წვერზე ძველი თეთრი ეკლესიაა აგებული - როდოსის კიდევ ერთი ისტორიული ძეგლი. ტაძრამდე დახვეული ბილიკები მიდის და ერთი შედარებით ფართო სერპანტინი მოტოციკლეტისტი ტურისტებისთვის.

დოროთე სიზიმატოსის სახლი შიგნით ერთობ კოპწია და ლამაზია. თაღებიანი თეთრი და ლურჯი ფერების კომბინაცია. თეთრი ქვის და მუქი ხის შიდა კიბე. ნიშებში ბერძნული თიხის ჭურჭლით. შუშაბანდები იგივე თვალწარმტაცი ხედით... ნისლში გახვეული თურქეთის მთები შიგადშიგ გახსნიდნენ ხოლმე გულმკერდს და მთელი თავისი სიდიადით დაჰყურებდნენ როდოსის ამწვანებულ ჭალებს.

დოროთეს მეუღლე ღვეზელებითა და როდოსული შნაფსით გაგვიმასპინძლდა. „ჰამბურგერებმა“ გამოაცხადეს, წარმოდგენას ვიწყებთ და ყველანი სახლში შემოდიითო.

ეს იყო დაუგეგმავი აქცია, ამიტომ ხალხის სახლში შეყვანა ცოტა გაჭიანურდა. ბოლოს როგორც იქნა შევგროვდით და წარმოდგენა დაიწყო. „ჰამბურგერებმა“ სასტუმრო ოთახის ერთ-ერთი თაღის ქვეშ სცენა მოაწყვეს. უვემ გამოაცხადა: ჰაინრიჰ ჰაინეს ოდა სიყვარულზე, კითხულობს ჯინო... მისამღერს შეასრულებს მედინა....

ჯინოს ხავერდოვანმა ხმამ და მედინას ნექტარივით ტკბილმა ჰანგებმა უცებ აავსო მკელი სახლი. როდოსული შნაპსი მძიმედ, უკულმა - ქვევიდან ზევით მიედინებოდა მარღვებში, ჯინოს სტრიქონებს, როგორც ტალღებს ისე ასკდებოდა და მედინას ბოსნიური ბალადების ხვეულებში იღვრებოდა. მედინას სიმღერამ ერთად მოუყარა თავი მთელ ჩემ ცხოვრებას: ბავშვობა, პირველი სიყვარულის ბედნიერება, უბედურება, ზღვა, დაკარგული და დასაბრუნებელი გულრიფში. მის სიმღერას გულში ჩემი კვნესაც ავაცოლუე, ბოლო სტრიქონი კი მედინასთან ერთად ყელში გაჩხერილი ხრინწით ამოვამღერე.

წარმოდგენა დამთავრდა, გაოგნებული და გაბრუებული აუდიტორია ჯერ ხმას არ იღებდა, მერე ტაში დასცხო და ხმამაღალი „ბრავოც“ უშურვლად გაიღო. უვემ ამაყად გამოგვიცხადა, ეს ბოსნიელი ქალი ასეთივე ოსტატობით წერს ლესებს ორ ენაზე და ხატავსო. ხოლო ის, რომ ბრინჯაოში ჩამოსხმული გერმანელი „რაინდებისთვის“ კულინარიის შედეგებს ქმნიდა ყოველდღე, უვეს არ აღუნიშნავს, არ აღუნიშნავს კი არა, არც გახსენებია, ეს ბოსნიელი ქალის სავალდებულო პროგრანმის ნაწილად მიაჩნდა, ალბათ!

წერილი 15

„თქვენს გასაგონად ვლაპარაკობ!!!!!!!!!!!!!!“

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩვენი პროექტის ხელმძღვანელს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს საქართველოში ყველა გამოჩენილ ადამიანსა თუ თანამდებობის პირს უნდა ვიცნობდე, პირადად თუ არა შორიდან მაინც. ადრე მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა ბოდიში, ჩემი თაობის თანამდებობის პირები, რამდენიმეს გარდა, ახლა მძლოლებად, დარაჯებად და უკეთეს შემთხვევაში, ბენზინგასამართ სადგურებზე დისპეჩერებად მუშაობენ, ხოლო უკეთეს შემთხვევაში -- დიასახლისებად.

ჰოდა, ვინაიდან ოლინ მაკ'გილს, რომელიც საქართველოში ბიზნესის კლიმატის განვითარების პროექტს ხელმძღვანელობს და საქართველოს მთავრობას ამ საქმის დაგვირგვინებაში ეხმარება, სასწრაფოდ დასჭირდა ცნობები ფინანსთა მინისტრის ახლად დანიშნულ პირველ მოადგილეზე. გვარი და სახელი თავად მითხრა: კახა ბაინდურაშვილი.

ეს ვარდების რევოლუციის გაღმა ნაპირიდან შემოსროლილი ყლორტი გახლდათ და, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი მის შესახებ. დავიწყე ფიქრი, საიდან მომემდებია ინფორმაცია. პირველი, რაც გამახსენდა იყო, ვანიკო ბაინდუროვი, ჩემი ახალგაზრდობის ამხანაგი, ქვემო ვერელი, ზაზა დარასელის ძმაკაცი, ფანტასტიურად თამაშობდა ფეხბურთს კიროვის პარკში. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ვანიკოს შვილი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ ვერ წარმოვიდგინე, რომ ვანიკოს შვილი გვარს შეიცვლიდა და ამიტომ ეს ვარიანტი იმთავითვე გამოვრიცხე. მერე სამსახურში მითხრეს, რომ ვიდრე ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, პრემიერ მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის თანაშემწე იყო. მაშინ კი მივხვდი, ვისთან უნდა დამერეკა, ჩემი შვილის მეგობარი მუშაობდა იქ და იმას დავურეკე. იმან მითხრა, ძალიან თავმდაბალი, კარგი ადამიანია, განათლება ამერიკაში აქვს მიღებული. მეტი არაფერი ვიცი, ჩემი ძმაკაცი არ არისო.

ამ ინფორმაციით მივადექი ოლინს და იმან რომ ამერიკული განათლების შესახებ გაიგო, ძალიან გაიხარა, დასავლური მენტალიტეტი ექნება და ადვილად ვითანამშრომლებთო.

გამოხდა ხანი, ფინანსთა სამინისტრომ ჩვენს პროექტს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მედიასთან თანამშრომლობის გასამდიერებლად, დახმარებისთვის მიმართა. კერძოდ, ახალი დიზაინისა და შინაარსის სარეკლამო რგოლების შესაქმნელად ამ სფეროს ექსპერტის დაქირავება გვთხოვა.

ბიზნესის კლიმატის განვითარების პროექტმა სამინისტროსთვის ამერიკიდან გამოცდილი ჟურნალისტი და კლიპმეიკერი, ძალიან ძვირადღირებული ფრენსის ჰარდინი, გამოიწერა. ფრენსისის თანაშემწეობა ოფისში მე დამევალა. დაინიშნა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის დრო და თარიღი. დიპლომატიური ეტიკეტის მიხედვით, მინისტრის მოადგილემ მის მოსაცდელში სულ თხუთმეტიოდე წუთი გვალალოდინა და როცა გამოცხადდა, გაღიმებული ნაცრისფერი თვალები შემოგვანათა, თან ბოდიში მოიხადა, სხდომა ოდნავ გაგვიგრძელდაო.

მისი პიარ მენეჯერი, ანუ ჩემი კოლეგა, სოლარიუმში გარუჯული, შავთმიანი, მაღალფეხება და ტუჩდაბერილი გოგო იყო. ამაყად გამოგვიცხადა მე ინგლისური არ ვიცი, მაგრამ ბატონ ბაინდურაშვილს მთარგმნელი არ სჭირდებაო. ძალიან გამიკვირდა, როგორ მოხდა, რომ ქვეყანაში, სადაც კომპიუტერისა და ინგლისურის ცოდნა თითქმის საციცოცხლო ატრიბუტი გახდა და ამის გარეშე აკადემიკოსიც კი სამსახურს ვერ შოულობს, ადამიანს ფინანსთა სამინისტროს „პიარად“ ნიშნავენ? იქვე ჩემმა კოლეგამ ჩამჩურჩულა -- ეგ მერის ცოლის დააო, თუ საცოლის, ზუსტად არ მახსოვს.

მინისტრის მოადგილე თავად ჟღალი თუ მოქერაო ყმაწვილი აღმოჩნდა, მართლა შესანიშნავად ტიკტიკებდა ინგლისურად და შიგადაშიგ, შეძლებისდაგვარად, იუმორსაც

ურევდა. ქართულში მაგარ „ლ“-ზე აკეთებდა აქცენტს. ეტყობა ადრე „ლ“ ძალიან რბილად გამოსდიოდა და ახლა მის გამაგრებაზე მუშაობდა.

ჩემი მეგობრის შვილის რეკომენდაციამ გაამართლა. მინისტრის მოადგილე მართლა ოდნავ თავმდაბალი, ზომიერად ლაღი (ამერიკულად) და კეთილგანწყობილი, მომღიმარე ყმაწვილი აღმოჩნდა. მან სხაპასხუპით ჩამოგვიყალიბა სამინისტროს მოთხოვნები, „მოლოდინები“ და იქვე დასძინა, რომ ჟურნალისტებს, სარეკლამო სააგენტოებს და სტუდიებს თავად შეარჩევდნენ, ასევე, სცენარისტს და მთავარ რეჟისორსო. მაშ ამ ფრენსისის ჩამოსაყვანად ამხელა ფული რატომ გადაგვყრევინათქო - გავიფიქრე. ეტყობა ეს ფიქრი ზუსტად ამესახა სახეზე, რადგან მინისტრის მოადგილემ ჯერ გაკვირვებით და შემდეგ ოდნავ მკაცრადც შემომხედა. ფრენსისი მთელი გულისყურით უსმენდა, ყველაფერს ინიშნავდა, მერე ტელევიზიების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით რანდენიმე კითხვა დასვა და როცა მინისტრის მოადგილემ ყველა დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა ჩემსკენ შემოტრიალდა და ხაზგასმით მომახსენა – „ამას განსაკუთრებით თქვენს გასაგონად ვამბობო“. მე გავშრი. ვიცოდი, რომ ეს იმიტომ მითხრა ქართულად, რომ კარგად გამეგო, რომ თითოს მიქნევდა და ენაზე კბილი დამეჭირა. „სულ არ მაინტერესებს რას ამბობთ-მეთქი“ -- ასევე ქართულად და ფართო ღიმილით მოვახსენე მინისტრის მოადგილეს და მე და კახა ბაინდურაშვილმა ამით დავამთავრეთ ფრაზეოლოგიური პინგ-პონგი.

საქმიანმა საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა არ დამთავრებულა. ბაინდურაშვილს ეჩქარებოდა და საუბრის გასაგრძელებლად ფრენსისი მეორე დღეს ლანჩზე დაპატიჟა. ფინანსთა სამინისტროს კიბეზე ის მაღალფეხება „პიარი“ წამოგვეწია და ჩემს თანამშრომელს, პატარა ნატოს, უთხრა ლანჩზე ფრენსის თქვენ წამოყვებითო.

ამის მერე ჩემი და მინისტრის გზები არ გადაკვეთილა. ერთხელ დავინახე ბაკურიანში სასტუმროს ფოიეში და ერთმანეთი არ შევიმჩნიეთ. ამის მერე ძალიან მალე კახა ბაინდურაშვილი ფინანსთა მინისტრი გახდა და ტელევიზიიდან ერთობ ხშირად გვესაუბრება საქართველოში ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესებაზე და ამ კუთხით მიღწეულ წარმატებებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენ ერთმანეთს ისევ არ ველაპარაკებით. ის თავის ზრდილობისა და თავმდაბლობის გამო, მე - ჩემი ამბიციურობისა და ამპარტავნობის.

ჩვენი საერთო შეხვედრის შედეგი კი ასეთი იყო: ფრენსისმა სამინისტროს მიერ შერჩეულ გუნდთან ერთად ორი სარეკლამო რგოლო მოამზადა. ამაზე დაიხარჯა ბიზნესის კლიმატის რეფორმის პროექტის კუთვნილი დიდძალი ფული, ფრენსისი ჰონორარის ჩათვლით. კლიპი კი როგორც თქვენ, ისე მე არცერთი ტელევიზიით არ მინახავს, შეიძლება გამომჩა, მაგრამ არა მგონია. სამაგიეროდ მსოფლიო ბანკის

მონაცემებით 2009 წელს საქართველო ბიზნესის წარმოების (Doing Business) ინდექსით მგონი მეორე ადგილზე გავიდა, ესეც - ჩემს გასაგონად!

წერილი 16

„დურაკოვო 2“ – სიზმარი?

ერთ პატარა ევროპულ ქალაქში, ალბათ, რომელიღაც ბალკანურ ქვეყანაში, ძველებურ შადრევნიან მოედანზე ლიტერატურის მუზეუმის ტიპის შენობა იდგა. შადრევნიდან ორი ფრთამოტეხილი ამური პირიდან წყალს ასხამდა. ინსტიტუტში ამაგდარ საზოგადო მოღვაწესთან, ვინმე ლევან/ლეო მახარაძესთან შეხვედრა იმართებოდა და მე მოხსენებას ვკითხულობდი, უფრო სწორად, უნდა წამეკითხა. იქ იყო ჩემი ყოფილი ხელმძღვანელი ოლინ მაკ'გილიც და ჩემი შვილი ნოდარ თოფურიძეც.

ეტყობა ამ შეუთავსებლობამ იმთავითვე შემაწუხა ძილში და რამდენჯერმე გამომეღვიძა. რამდენჯერაც შევიბრუნე ძილი, სიზმარი იმდენჯერ გაგრძელდა. პირველად მაშინ გამეღვიძა, როცა მოხსენება დამეკარგა და ფურცლები ვერსად ვიპოვნე. შებრუნებული სიზმარი იმით დაიწყო, რომ ამ პატარა ევროპულ მოედანზე, რომელიღაც გაურკვეველი რელიგიის სექტანტები შემოცვივდნენ -- სულ შუახნის ქალები, კისერზე ყვითელი ზაფრანის და ლურჯი გორტენზიების ყელსაბამები ეკიდათ. რაღაც მრგვალ, უშველებელ ლანგარს დაატარებდნენ, რომელზეც მაღალ, გათლილ ჭიქებში ბლანტი, ღრუბლისფერი სითხე ესხა (მალიან ჰგავდა ბერძნულ უზოს) სასმელს ორთქლი ასდიოდა. ისინი მოედანს წრეს არტყამდნენ, გალობდნენ, ქადაგებდნენ და ვარდის ფურცლებს ურიგებდნენ გამვლელ-გამომვლელებს. ძალიან გავდნენ არჩევნებისთვის ნაც. მოძრაობის მიერ დაქირავებულ კოორდინატორებს, რომლებიც საარჩევნო უბნების წინ და გარშემო მოქალაქეების სიებით დარბოდნენ და თავინათ პოტენციურ თუ ნაღდ მომხრეთა ხმის მიცემას აკონტროლებდნენ.

დარბაზი, რომელშიც დიდი ქველმოქმედის, ბატონი ლეო მახარაძის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღი აღინიშნებოდა, თავისი პრეზიდენტი და კათედრით, ძველი კომუნისტური ტიპის სააქტო დარბაზს ჰგავდა იმ განსხვავებით, რომ დარბაზი ჩაბნელებული და მინებჩამსხვრეული იყო, როგორც მაშინ, 90-იან წლებში. ოლინი გამალებით ცდილობდა, მასტიკით გაპოხილი შავი დაფიდან ტურტლიანი ტილოთი ფერადი ცარცით დაწერილი „ლეო ყლეოს!“ წაშლას.

ამასობაში ბატონმა ლეომ გაიგო, რომ მე მოხსენების ტექსტი დავკარგე და თავად მომაშველა საკუთარი ხელით დაწერილი, მისი მოღვაწეობის ამსახველი სამი თაბახოს ფურცელი. ამ სამფურცლიან დითირამბს ჩავკირკიტებდი, როცა კიდეც ერთხელ

გამომეღვიძა. საათს შევხედე. დილის 7 საათი იყო. ათ საათამდე დრო მქონდა, ძილი შევიბრუნე.

ახლა სამი ფურცლით აღჭურვილი ბატონ ლეოს ვუხსნიდი, რომ ამ ფურცლებზე ასახული ციფრები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ის მეუბნებოდა, თუ წაკითხვა არ გინდა, პირდაპირ მითხარო. მე ვპასუხეობდი, ეგ რამ გაფიქრებიათ ბატონო ლეომეთქი და ყალბი ციფრების დაზეპირებას შევუდექი ხმამაღლა. რადგან ვერაფრით დავიზეპირე, გადავწყვიტე მოხსენება ფურცლიდან წამეკითხა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, პარალელურად, მოედანზე ჩემი ადამიანის უფლებების დამცველი შვილი ნოდარ თოფურიძე სექტანტების უფლებებს იცავდა და ამურებიან შადრევანს ველოსიპედით წრეებს უვლიდა. სექტანტები მწყობრად იდგნენ ინსტიტუტის კართან და ბატონი ლეო მახარამის საწინააღმდეგო ქადაგებას ატარებდნენ. მე დარბაზში მოხსენებას ჩავკირკიტებდი.

უცებ, აღმოვაჩინე, რომ მოცხენების ციფრებიანი ფურცლები ისევ დამკარგვოდა. სადღაც გაქრნენ, აორთქლდნენ. პანიკურად დავიწყე ჩანთაში ხელის ფათური, მერე მთელი ინსტიტუტი გადავქექე და რომ ვერსად ვიპოვნე, აღელვებული გარეთ გამოვვარდი. ახლა ამ კაცს ეგონება, რომ ძალით დავკარგე მოხსენება მეთქი - ჩემთვის ვბურტყუნებდი. მერე ვეცადე რამე გამეხსენებინა იმ ფურცლებიდან და რომ ვერფერი გავიხსენე, შემეშინდა... სასოწარკვეთაში ჩავვარდი ... სწორედ ამ დროს ჩამიქროლა რამდენჯერმე ნოდარიკომ თავისი ველოსიპედით. სექტანტი ქალები ინსტიტუტის წინ შეკრებილ თავიანთ მრევლს ბლანტ და ორთქლიან სითხეს ასმევდნენ. მე ისევ ტვინს ვიჭყლეტდი და ციფრების გახსენებას ვცდილობდი.

ამ დროს ინსტიტუტიდან დაბალი, ღიპიანი მეცნიერმუშაკი გამოვიდა, ძალიან მეცნობა, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ ვინ.

_ მადლობა ზაურს და გენოს დაფასებისთვის _ ირონიულად განაცხადა მან იმის ხაზგასასმელად, რომ ეს უკანასკნელნი სხდომაზე არ გამოცხადდნენ და ბატონ ლეოს სიტყვა არ შეაწიეს_ ჰა, შენი გამოსვლაა, შემოდი, რაღას უცდი!_ მითხრა მან. კრების თავმჯდომარემ კათედრასთან გამომიძახა.

ნოდარიკომ კიდევ ერთხელ დაარტყა წრე შადრევანს. მე სექტანტების ჯგუფი გავარღვიე, რის გამოც ზიზღნარევი „მოღალატე!, მოღალატე!“ დავიმსახურე. ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ მაინც შევეთრიე დარბაზში, ავედი კათედრაზე და მოხსენების კითხვა, რატომღაც, ინგლისურად დავიწყე.

ამ დროს კისერზე ზაფრანებითა და გორტენზიებით ოთახში სექტანტები შემოვარდნენ. ერთი ნაწილი სახელმწიფო ჰიმნს მღეროდა, მეორე - ლანგარს დაატარებდა

აუდიტორიაში და დამსწრე საზოგადოებას ენერგიულად ბლანტ, მოთეთრო სიტხეს სთავაზობდა. ოლინი, რომელიც დაფიდან ამაოდ ცდილობდა „ლეო - ყლეო! - ს“ წაშლას, ტილო გააგდო და სექტანტებს შეუერთდა. დაბალმა ღიპიანმა მეცნიერმუშაკმა ბატონი ლეო დარბაზიდან გაიყვანა და გასვლისას ყველას დასანახად რამდენჯერმე იატაკზე დააფურთხა. მე მოხსენების წაკითხვას გადავურჩი. გარეთ გამოვედი, დარბაზში ახლა რატომღაც „ჰარი კრიშნას“ მღეროდნენ. მოედანზე ველოსიპადზე ამხედრებულ ნოდარიკოს მოვკარი თვალი და გამეღვიძა.

საათს შევხედე 8 საათი იყო, ათამდე კიდევ შემეძლო ერთხელაც შემებრუნებინა ძილი, მაგრამ ვარჩიე ამ „დურაკოვოსთვის“ აქ დამესვა წერტილი.